საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 53 (1069) შაბათი, 13 მაისი, 1995 წელი.

ფასი 200 000 კუპონი.

ედუარდ შევარდნაძე თბილისს დაბრუნდა

11 მაისს, გვიან საღამოს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც იგი მონაწილეობდა ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

დღესასწაულის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების გარდა, სახელმწიფოს მეთაურს ჰქონდა საქმიანი საუბრები რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან, პრემიერთან ვიქტორ ჩერნომირდინთან, მის მოადგილესთან ალექსი ბოლშაკოვთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ანდრია კოზირევთან, რუსეთის ფედერაციის სხვა წამყვანი უწყებების ხელმძღვანელებთან. საუბრების დროს განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ სფეროებში, კონფლიქტების პოლიტიკური გზებით მოგვარების და ამ პროცესში რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების სამშვიდობო ძალების მონაწილეობის საკითხები.

სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობდა ქალაქ თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი, რომელსაც ჰქონდა შეხვედრები მოსკოვის მერთან იური ლუჟკოვთან, სხვა ხელმძღვანელებთან. დაისახა ორი დედაქალაქის მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის შემდგომი გზები.

საქინფორმი.

ძლიერი საქართველო შეესაბამება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესს სჭირდება მხარდაჭერა და ეს მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წარმატებული განვითარების, რუსეთში დემოკრატიის განმტკიცებისთვის, — ეს აღნიშნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან რუსეთის ფედერაციის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ შუმეიკოს საუბრის დროს, რომელიც 11 მაისს გაიმართა.

შეეხნენ რა აფხაზეთის პრობლემას, ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა მისი რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრა. ფედერაციის საბჭოს მეთაურმა გამოთქვა აზრი, რომ აქ მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის გამოცდილება ფედერაციული მშენებლობის საქმეში, რომელსაც საფუძვლად უდევს სუბიექტების თანასწორობა კანონის წინაშე. როგორც მან აიხსნა, სწორედ ეს მიმართულებაა ყველაზე პერსპექტიული და შედეგიანი.

საქართველოს, როგორც ერთიანი და ძლიერი რესპუბლიკის განვითარება შეესაბამება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, რომელსაც ხელს აძლევს სტაბილურობა მეზობელ სახელმწიფოში, განაცხადა ვლადიმერ შუმეიკომ.

ივან რიბკინი შეხვდა ედუარდ შევარდნაძეს

მოსკოვი, (იტარ-ტასდის-საქინფორმი). სახელმწიფო სათათბიროს პრესსამსახურის ცნობით, 11 მაისს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ივან რიბკინი შეხვდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს.

საუბრის დროს განიხილეს რუსეთისა და საქართველოს პარლამენტების საკანონმდებლო საქმიანობა. კერძოდ, ი. რიბკინმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს გააცნო იმ კანონების ბლოკი, რომლებიც სახელმწიფო სათათბირომ მიიღო არჩევნების შესახებ.

ე. შევარდნაძემ აცნობა, რომ შემოდგომისთვის დასახულია საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამართვა და მთავარი ყურადღება დაეთმო საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებას, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის ფედერალურ მოწყობას. ამას გარდა, იგი შეეხო ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის პრობლემებს.

საქართველოს რესპუბლიკის
კანონი
„საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 17 თებერვლის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ., № 15, მუხ. 291) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

I. კანონის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისაგან საქართველოს საპატრიარქო, მასში შემავალი ეპარქიები, ეკლესიები, სასულიერო სასწავლებლები, ეკლესიის მსახურნი ეკლესიიდან მიღებული შემოსავლისაგან გაანგარიშებული საშემოსავლო გადასახადის ნაწილში".

II. დაემატოს კანონს შემდეგი შინაარსის მე-2 მუხლი:

„2. გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტებში გადასახადებისგან საქართველოს საპატრიარქოს საწარმოები საკუთარი წარმოების პროდუქციის ნაწილში, აგრეთვე, საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური განყოფილება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საწარმოები ამ პუნქტით გათვალისწინებული შეღავათებით მიღებულ მთელ შემოსავალს ახმარენ საქართველოს საპატრიარქოს განვითარებას და ჩარიცხავენ მის ანგარიშზე".

III. კანონის მეორე მუხლი ჩაითვალოს მესამე მუხლად.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1995 წლის 5 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დადგენილება
„საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს საქონლის ხარისხის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 29 მარტის 169 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 29 მარტის 169 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროს საქონლის ხარისხის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის მთავარი სამმართველოს შესახებ".

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია.**

1995 წლის 11 მაისი.

unicef

იმუნიზაციის ნაციონალური დღე (მეჯაკარი)

გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის ოფისი თბილისში, აცხადებს, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თბილისის ოფისთან, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროსთან, რეგიონალურ და ადგილობრივ ჯანდაცვის მუშაკებთან მჭიდრო თანამშრომლობით ა. წ. 15-დან 19 მაისამდე ჩატარდება მეჯაკარის (პოლიომიელიტის სრული აღმოფხვრის კომპანიის) მეორე რაუნდი მთელს საქართველოში აჭარის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ჩათვლით.

UNICEF-ი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ჯანმრთელობის სამინისტრო ყველა ბავშვისათვის 0-დან 5 წლამდე უსასყიდლოდ გამოყოფს ორალური პოლიო ვაქცინის OPV მეორე დოზას.

აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ყველა ბავშვი 15-დან 19 მაისამდე უნდა იქნეს მიყვანილი უახლოეს პოლიკლინიკამდე ან საფერშლო-ამბულატორიულ პუნქტამდე ასაცრელად. ამავე დროს, აღნიშნული ღონისძიება კიდევ ერთხელ მოგვცემს საშუალებას, ადგილზე შემოწმდეს ამ ასაკობრივი ჯგუფის ყოველი ბავშვის აცრების ჩანაწერები, დადგინდეს ბავშვთა სრული იმუნიზაციისათვის საჭირო სხვა აცრების ჩატარების ვადები, რაც მათ დაიცავს სხვა საშიში ინფექციური დაავადებებისაგან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ აცრები ტარდება უსასყიდლოდ.

**სტეფან ჯონსონი,
გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის წარმომადგენელი.**

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში



მოვეკიდოთ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით

უაღრესად რთული პერიოდი უდგას ამჟამად საქართველოს. ძნელია ჩამოთვალო პრობლემები, რომლებიც გვაქვს ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, პრაქტიკულად რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგში. მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ გვახსენებს თავს ყოველდღიურად, ყოველ საათსა და ყოველ წუთში. ეს იძულებით ადგილნაცვალ პირთა, იმ ადამიანთა პრობლემაა, რომლებიც ლტოლვილებად იქცნენ საკუთარ ქვეყანაში. ის საკითხი, თუ როგორ სრულდება შარშან დეკემბერში საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილება ამ ადამიანთა სოციალური მოწყობის სრულყოფის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში მათი დაბრუნების ორგანიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ, იყო უმთავრესი 10 მაისს გამართულ რესპუბლიკის მთავრობის მორიგ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

როგორც ცხადყო ინფორმაციამ, რომელიც გააკეთა თბილისში მომუშავე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ, შეზღუდულ შესაძლებლობათა მიუხედავად, ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა ცხოვრების ნორმალური პირობების, მათი შრომითი მოწყობის, ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად. მაგრამ პარადოქსი ის გახლავთ, რომ საერთოდ მშობლიურ კერას მოწყვეტილი ამ ადამიანების მდგომარეობა დღითი დღე სულ უფრო რთულდება. დღემდე არ გადაწყვეტილა აფხაზეთიდან ევაკუირებული სამრეწველო საწარმოებისათვის კრედიტების გამოყოფის საკითხი, რის შედეგადაც ბევრი მათგანი კვლავ უმოქმედოდ არის. მხოლოდ საქართველოს მრეწველობის სამინისტროს მხარდაჭერის წყალობით ხუთი საწარმო ფუნქციონირებს ამჟამად თბილისსა და ქუთაისში. რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც იძულებით ადგილნაცვალმა პირებმა დროებითი თავშესაფარი პოვეს ახლობლებთან და ნათესავებთან, ისინი მოკლებული არიან ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება ჰუმანიტარული დახმარების დანიშნულებისამებრ მიწოდება და ლტოლვილთა შორის ზუსტად განაწილება. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგები და მედიცინის მუშაკები, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ვერ იპოვა სამუშაო სპეციალობის მიხედვით და იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო.

ამასთან დაკავშირებით, სხდომაზე პრინციპულად დაისვა საკითხი, რომ ყოველმა სამინისტრომ, ყოველმა უწყებამ, რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებსაც მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად მიეცათ კონკრეტული დავალებანი, მაქსიმალური პასუხისმგებლობით გადაწყვიტონ ლტოლვილთა სოციალური მოწყობის ამოცანები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უახლოეს დროში მათ უნდა მიიღონ ვრცელი პროგრამა იძულებით ადგილნაცვალ პირთა მშობლიურ ადგილებში მასობრივი დაბრუნების ორგანიზაციისა და მათი დაბინავების უზრუნველყოფის შესახებ.

შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა პასუხისმგებლობის შესახებ სჯა-ბაასი მწვავედ გაგრძელდა სხდომაზე 1995-1996 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მომზადების საკითხის განხილვის დროსაც. აღინიშნა, რომ განვლილი ზამთრის შეცდომების, ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მწარე გაკვეთილები ყოველმხრივ უნდა გაანალიზდეს, რათა აღარ განმეორდეს ისინი მომავალში. მომავალი პროგრამა იმ ვარაუდით უნდა შედგეს, რომ მთლიანად გამოვიყენოთ შინაგანი რეზერვები, ეფექტიანად ავამოქმედოთ ქვეყნისათვის გამოყოფილი კრედიტები, იმთავითვე გამოვრიცხოთ გადახვევები სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რეაბილიტაციისა და სტაბილური ფუნქციონირების დასახული გეგმიდან. სწორედ ამიტომ, პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაცაციას წინადადებით, რომელსაც პარლამენტის შესაბამისი კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ გვერდწითელმაც დაუჭირა მხარი, ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან, რათა დეტალურად განიხილონ მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ სხდომაზე, რომელიც დაგეგმილია გაიმართოს უახლოეს დღეებში.

მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება რესპუბლიკის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა ინდექსაციის შესახებ, მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად. ამ ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა გადაფასება მოხდება ერთიანი კოეფიციენტის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია 12, 7-ის ოდენობით 1994 წლის პირველი იანვრისათვის არსებული მათი ღირებულების მიმართ. საგულისხმოა, რომ არასრული სამი წლის განმავლობაში ეს რესპუბლიკის ეროვნულ მეურნეობაში ძირითადი ფონდებისა და კაპიტალურ დაბანდებათა სათვალავით მეორე ინდექსაციაა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ესოდენ ხშირი გადაფასება განპირობებულია ინფლაციური პროცესების განვითარებით, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ძვირდება სამრეწველო-ტექნიკური დანიშნულებისა და სამშენებლო ინდუსტრიის პროდუქცია. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს ძირითადი ფონდების ერთდროული ინდექსირების საჭიროებას, რათა რეალურად დადგინდეს მათი აღდგენითი ღირებულება, გაიზარდოს ამორტიზირებული გადარიცხვების წილი მათი კვლავწარმოების დაფინანსებაში, სწორად განისაზღვროს პროდუქციის (სამუშაოთა, მომსახურების) თვითღირებულება და ფინანსური შედეგები, აგრეთვე, სახელმწიფო საკუთრების რეფორმირების დროს მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული შესაძლო მატერიალური ზარალი.

შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით, მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა დებულება საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა დროებით შრომითს მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზირების წესის შესახებ. ლიცენზირებას ექვემდებარება როგორც ინდივიდუალური მეწარმეების, ასევე იურიდიული პირების ამგვარი საქმიანობა. საზღვარგარეთ სამუშაოდ მიმავალ თითოეულ მოქალაქეზე ლიცენზიის გასაფორმებლად და მისაღებად მათ შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ანგარიშზე უნდა გადარიცხონ სალიცენზიო გადასახადი რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოცმაგი ოდენობით, რომლის 70 პროცენტი მიღებიდან ხუთი დღის შემდეგ მიდის რესპუბლიკის ბიუჯეტში.

მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხებიც.

**ედუარდ ედიბერიძე,
საქინფორმის კორ.**

პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას

გაეროსთან არსებულმა საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობამ საქინფორმს აცნობა, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების დღესასწაულის აღსანიშნავად ნიუ-იორკში, მდინარე ჰადსონის (გუდძონი) ნაპირას მდებარე სამხედრო მუზეუმის ტერიტორიაზე გაიმართა საზეიმო შეხვედრა.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქვეყნების დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებს, ამერიკელ ომის ვეტერანებს, მოწვეულ მრავალრიცხოვან სტუმარს სიტყვით მიმართეს გაეროსთან ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ქალბატონმა მადლენ ოლბრაითმა, ნიუ-იორკის მერმა ბატონმა რუდოლფ ჯულიანიმ, გაერთიანებული სამხედრო შტაბების თავმჯდომარემ ბატონმა ჯონ შალიკაშვილმა. ზეიმში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლები, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მაღალი ჩინის სამხედრო პირები.

გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა და ომის ვეტერანმა რუსმა გენერალმა ალექსი კატრიჩმა დაღუპულთა პატივსაცემად მდინარეში ჩაუშვეს ყვავილების გვირგვინი.

საზეიმო შეხვედრის მთავარი ღონისძიება იყო ომის მონაწილე ქვეყნების დროშების აღმართვის რიტუალი, რომელიც საზღვაო ფლოტის საპატიო ყარაულთან ერთად განახორციელეს გაეროსთან შესაბამისი ქვეყნების მისიების წარმომადგენლებმა.

სხვა 68 ქვეყანასთან ერთად სამხედრო მუზეუმის ეზოში, მეორე მსოფლიო ომში ჩვენი ქვეყნიდან მონაწილეთა და დაღუპულთა პატივსაცემად თავისი ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს დროშამ.

გზად მშვიდობისკენ!

პოკლონაიას კალთებზე...



აპრილის დილა. მშვიდი და ნათელი. თითქოს საოცარი ორკესტრის სიღრმეში თანდათანობით იბადება ჯერ კიდევ აუჟღერელი მრავალხმიანობა გიგანტური ქალაქისა და სადაცაა ლოტბარის ნიშნის გარეშე დაიწყებს წინასაზეიმო მძლავრი სიმფონია, რომელიც შესძრავს მთელ მოსკოვს და ტალღებად მოედება მის შემოგარენს.

მე ვჯდები მანქანაში ზურაბ წერეთლის გვერდით, როგორც პირველად, თითქმის ორმოცი წლის წინათ, არც მძღოლი, არც პირადი დაცვა. მას მარცხენა ხელში ტელეფონი აქვს მომარჯვებული, მარჯვენაში კი — საჭე. ზურაბის ბინა-სახელოსნოდან პოკლონაია გორამდე, რომელსაც მოსკოველები რუსული ტრადიციის მიხედვით შინაურულად უკვე „პოკლონკას" ეძახიან, სულ 15-20 წუთის სავალი გზაა. ამ ხნის განმავლობაში იგი ასწრებს გაესაუბროს იმათ, ვისაც ხელეწიფება მხარი აუბას მისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას. დილის სამ საათზე დაბრუნდა დღეს ეს კაცი მშენებლობიდან, ხოლო 8 საათზე, ესე იგი ხუთი საათის შემდეგ მხნე და მომართული, მიეშურება თავისი ფრონტის მოწინავე ხაზზე, რათა გადალახოს ნებისმიერი წინააღმდეგობა, რაც ხელს შეუშლის მისი მიზნის განხორციელებას. ჩვენ ორივე გვარიანად გავჭაღარავდით, მაგრამ ზურაბ წერეთელი იგივე არის, წლებმა ვერ მოუნახეს გასაღები მისი უნიკალური სიცოცხლისუნარიანობისა და თავბრუდამხვევი შემოქმედებითი რიტმის გასაიდუმლოებულ მექანიზმებს.

მანქანა მისრიალებს ჯერ კიდევ უკაცრიელ კუტუზოვის პროსპექტზე. უნებლიედ მაგონდება პუშკინის სტრიქონები დიდ მხედართმთავარზე და მათ წარმოვთქვამ ხმადაბლა, სატელეფონო მარათონს რომ არ შევუშალო ხელი:

Столпов гранитные громады
И их знамен нависший ряд.
Под ними спит сей властелин,
Сей идол северных дружин,
Маститый страж страны державной...

ზურაბი იღიმება, წამით იშორებს ტელეფონს და მეუბნება: მალე ნახავ გრანიტსაც, დროშებსაც და კიდევ სხვა რამესაც.

ეს „სხვა რამე" გახლავთ კუტუზოვის პროსპექტთან მიმდებარე გამარჯვების პარკი პოკლონკაზე.

მანქანიდან გადმოსულები უმალ ვხვდებით ადამიანების გიგანტურ სალტეში: ჯარისკაცები, მუშები, ხელოსნები, ინჟინრები, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, გენერლები, მინისტრები და რაღა თქმა უნდა, ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი გუნდი. ეს ცოცხალი სალტე საოცარი სისწრაფით ინაცვლებს ადგილს. ვცდილობ არ „ამოვვარდე" ამ ორომტრიალის ცენტრიდან, რაც იოლი საქმე არ გახლავთ. მე ცუდად მესმის ზურაბ წერეთლის მოკლე შენიშვნებისა და ენერგიული განკარგულებების შინაარსი, მაგრამ ეს გასაგები და ნათელია მათთვის, ვინც იცის, რომ ფინალამდე დარჩენილია საათები, წუთები და წამები, ამა წლის თებერვლიდან რომ იღებენ დასაბამს. ეს ფანტასტიკაა და ამავე დროს რეალური ფაქტიც. მე შევხვედრივარ სარდლებსა და მხედართმთავრებს მშვიდობიან გარემოში, მაგრამ საქმეში არა. ამ აპრილის ნათელ დილას ესეც ვიხილე.

— ხომ არ მოგაგონებთ ზურაბ კონსტანტინეს ძე რაღაცით კუტუზოვს? — ვეკითხები ჩემს გვერდით მდგომ ჟურნალისტს, — ჯერ ერთი, — ღიმილით მიპასუხებს თანამოსაუბრე, — მიხაილ ილარიონოვიჩი უფრო მძიმედ იძვროდა, თანაც მას რვაას თორმეტში გაცილებით ნაკლები პრობლემა ჰქონდა, ვიდრე წერეთელს დღეს აქ, პოკლონკაზე.

ორივე გულიანად ვიცინით ამ მოსწრებულ პასუხზე, ჩვენსკენ ზურგით მდგარი ზურაბი, რაღაცაზე მწარედ ეკამათება ზორბა გენერალს, ამავე დროს ჩვენსკენ იშვერს მარჯვენა ხელს ზეაწეული დიდი თითით: კარგი ნათქვამიაო. ჩვენ მხოლოდღა მხრების აჩეჩვით, უხმოდ ვაღიარებთ სარდლის გასაოცარ ყურთასმენას.

ასე სამი საათის შემდეგ დაძაბულობა კლებულობს. დამოძღვრილი შემსრულებლები მიიჩქარიან თავიანთ ობიექტებზე და ზურაბი მაჩვენებს თავის ქმნილებას — გამარჯვების პარკის მთავარ მონუმენტს — დიდების მონუმენტს, რომლის სიმაღლე 141,8 მეტრია დიდი სამამულო ომის 1418 ცეცხლოვანი დღის შესაბამისად. მონუმენტი, რომელიც აპრილის ლაჟვარდს ებჯინება, იკითხება როგორც ხიშტი — ჯარისკაცის თავგანწირულობისა და შემართების სიმბოლო. ზოგიერთს თითქოს ეხამუშა — რატომ მაინცდამაინც ხიშტი? მაგრამ მოდი გავიხსენოთ სუვოროვის **пуля дура, штык молодец,** გავიხსენოთ სიტყვები კუტუზოვის წერილიდან ალექსანდრე I სახელზე ბოროდინოს შესახებ:

Начальник главного штаба, генерал-майор Ермолов... подавая собою пример, ударил в штыки. Неприятель защищался [illegible]токо, но ничто не устояло против русского штыка!

ახლა პუშკინი?

**Иль старый богатырь, покойный на постеле,
Не в силах завинтить свой измаильский штык?
Я хочу, чтоб к штыку приравняли перо —**

წერდა ჩვენი დიდი თანამემამულე ბაღდათელი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელზეც მარინა ცვეტაევამ თქვა — „მან რამოდენიმე საუკუნით წინ გაგვასწრო და გველოდება იქ, მოსახვევში..."

დიდების მონუმენტს აგვირგვინებს ზურაბ წერეთლის მიერვე შესრულებული გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეს ქანდაკება ორი ანგელოზის ნატიფი ესკორტით.

ვგრძნობ, რომ ვერ გავუძლებ მასპინძლის მიერ შემოთავაზებულ ტემპს, მაგრამ უკან დახევაც არ ივარგებს. ხსნა მოდის სრულიად მოულოდნელად, პოკლონკას ესტუმრნენ ჩერნომირდინი და ლუჟკოვი სოლიდური ამალით. ის, რაც ჩემგან შემორჩა, ზურაბმა გადაულოცა თავის თანაშემწეს, გასაოცრად თბილ და დელიკატურ პიროვნებას პეტრე გრინს და სტუმრებისკენ გაემართა. ბატონმა პეტრემ სულის ამოთქმა მაცალა და უკვე ჩვეული ტემპით შევედით 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის ცენტრალურ მუზეუმში. ვათვალიერებთ შესასვლელს — წერეთლის ვიტრაჟებით ასიმღერებულს, შემდეგ კი შევდივართ დიდების დარბაზში, გმირი ქალაქების გორელიეფებით რომ არის დამშვენებული და რომლის კედლებზე ამოტვიფრულია საბჭოთა კავშირის გმირების, მათ შორის იოსებ სტალინის (ჯუღაშვილის) გვარები და ინიციალები. დარბაზის ცენტრში აღმართულია უკრაინის სახალხო მხატვრის ვალენტინ ზნობას შთამბეჭდავი სკულპტურა — მეომარი-განმათავისუფლებელი. კარგა ხანს ვჩერდებით ხსოვნის დარბაზში, მტირალა ტირიფების გასაოცრად ფაქიზი იმიტაცია, პაწია ნათურები ცრემლის უწყვეტი ნაკადის ილუზიას ქმნიან. განათებულია ვეება ტომები გაშლილი ფურცლებით. აქ ახსენებულია ყველა, ვინც თავი შესწირა ჩვენს მაშინდელ ერთიან სამშობლოს. აქვეა მოქანდაკე ლევ კერბელის კომპოზიცია — დიდი დასტირის ბრძოლაში დაცემულ შვილს.

ენერგიულ მანერაშია შესრულებული მასშტაბური დიორამები „კონტრშეტევა მოსკოვთან", „ლენინგრადის ბლოკადა", „სტალინგრადის ეპოპეა", „კურსკის შვერილი", „დნეპრის ფორსირება", „ბერლინის შტურმი".

შემდეგ გვარდიის დარბაზი, ვეტერანთა დარბაზი და სამხატვრო გალერეა.

ძნელია, ძნელი კი არა, შეუძლებელია სრულად გამოხატო ის გრძნობა, რომელიც „მეცხრე ტალღასავით" ნთქავს მთელს შენ არსებას აქ, ამ ხელქმნილ, მაგრამ ზღაპრულ სამყაროში. ეს იყო პაემანი ბავშვობასთან და ყრმობასთან, ომის მრისხანე წლებს რომ დაემთხვა. ეს იყო შეხვედრა ჩემს უფროს ძმებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან ბორისთან და გიორგისთან. კაპიტანი ბორის სტურუა დაეცა ბრძოლის ველზე ვორონეჟთან 1943 წელს.

და კიდევ ერთი გრძნობა გამოკრისტალდა აქ, პოკლონკაზე, ეს იყო ზიზღი იმ „ახლადწამკითხველებისა" თუ „ახლადგადამკითხველების" მიმართ, რომლებსაც სურთ სულიერი მაზოხისტის ცივი, ამაზრზენი ტემპერამენტით, ასე უხამსი ხითხითით და მანჭვა-გრეხვით თავზა აუბნიონ ხალხს, დაამცირონ, დააკნინონ საბჭოთა ხალხების უმაგალითო გამარჯვება ფაშიზმზე, ჩირქი მოსცხონ განმათავისუფლებლების დიად, უპრეცედენტო თავგანწირვასა და გმირობას.

თავის შეფივით მოუღლელი ბატონი პეტრე მიძღვება წამებული წმინდა გიორგის ტაძარში, რომელიც აგებულია ა. ტ. პოლიანსკისა და ზურაბ წერეთლის არქიტექტურით. კედლებს ამშვენებს იესო ქრისტეს, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხმული პანოები.

აქ უნებლიედ მაგონდება ჩვენი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი-ლოცვა:

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურ დასთა გალობის ზარი!.."

გზა ტაძრისკენ, მშვიდობისკენ, გზა შენდობისა და სიყვარულისა — ასე იკითხება ამ წმინდა მთის კალთები, რომელსაც ადამიანის მძლავრმა ნებამ ახალი, მართლაც რომ უქრობელი სული შთაბერა.

* * *

...სულ ამასწინათ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ფაშიზმზე გამარჯვება სამუდამოდ დაკავშირებულია ორ ქართველ კაცთან. ერთმა გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე თავის რუს მოძმესთან ერთად, მეორე კი იყო უმაღლესი მთავარსარდალი ამ უმაგალითო სასტიკ შერკინებაში.

მოხდა ისე, რომ მესამე ქართველმა აღმართა ღირსეული ძეგლი ამ გამარჯვებისა...

დევი სტურუა.
1995 წლის 29-30 აპრილი,
მოსკოვი-თბილისი.

მერვე სვეტი

პერსპექტიული თანამშრომლობა

11 მაისს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ლი ცზინსიანი.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავების საკითხებს. ბატონმა ელჩმა განაცხადა, რომ ჩინეთის მთავრობა მზადაა საქართველოსთან ერთად შექმნას შერეული კომისია ექსპერტთა მონაწილეობით, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში.

პრემიერ-მინისტრმა მადლიერების გრძნობით მოიხსენია შარშან საქართველოსათვის ჩინეთის მთავრობის მიერ კრედიტის გამოყოფის ფაქტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობას.

შემდგომ თანამშრომლობაში პრიორიტეტულად მიჩნეული იქნა ერთობლივი საწარმოების შექმნა ჩაის წარმოებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ჟენევის კონვენცია უნდა სრულდებოდეს!

11 მაისს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ მიიღო საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტის საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ბატონი დომიკო დუფურუ. ბატონმა დუფურუმ განაცხადა, რომ მისი ვიზიტი განპირობებულია იმ სირთულეებით, რომლებიც მას კვლავ შეექმნა პატიმრებთან შეხვედრის თვალსაზრისით, მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის სანდრო კავსაძის არაერთგზის ჩარევისა. მან მოითხოვა ამ საკითხის ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგება ჟენევის კონვენციის შესაბამისად.

აფხაზეთში კვლავ ხოცავენ ქართველებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესსამსახური იტყობინება, რომ აფხაზმა ბოევიკებმა გამარჯვების დღის წინ განახორციელეს სისხლიანი ანგარიშსწორების მორიგი აქტი. მილიციის ფორმაში გადაცმული ბანდიტები შეიჭრნენ გალის რაიონის სოფელ პირველ გალში დიდი სამამულო ომის ვეტერანების ვანო მინჯიასა და სევერიან მალაზონიას სახლებში, უბრძანეს მათ გამოეტანათ ეზოში ავეჯი და დარჩენილი ფასეულობანი. წინააღმდეგობას რომ გადააწყდნენ, გამხეცებულმა დამნაშავეებმა დახვრიტეს ისინი.

უფრაკო დიპლომატები

სამოქალაქო დიპლომატიის მეექვსე საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის ფედერაციას, როგორც აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების შეთანხმებათა გარანტს, რომ რუსეთმა დაუყოვნებლივ განახორციელოს ღონისძიებანი ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ფორუმში, რომელიც აპრილის მეორე დეკადაში გაიმართა მოსკოვში, მონაწილეობდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ბალტიის თორმეტი ქვეყნის საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმომადგენლები. ფორუმის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის სამოქალაქო დიპლომატიის საერთაშორისო მუდმივი მისიის სამშვიდობო ინიციატივას, რომ მიმდინარე წლის ივლისში თბილისსა და ზუგდიდში გაიმართოს საერთაშორისო შეხვედრა აფხაზეთში მშვიდობის მიღწევისათვის თანამოქმედების მიზნით.

ტკივილი

მელოდე, აფხაზეთო!

ნორმა ჰარმსი.

ამ ცოტა ხნის წინ თბილისში გაიხსნა კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

მისი თანამშრომლები არ არიგებენ სასურსათო დახმარებას ან მედიკამენტებს, არ აფინანსებენ საზღვარგარეთ მოგზაურობას. ისინი აკეთებენ იმას, ურომლისოდაც უფასურდება მატერიალური კეთილდღეობა, — ცდილობენ დაიცვან ადამიანთა ღირსება, თავიდან აიცილონ მათ უკანონობა და სისასტიკე, ის მძიმე ტვირთი, ასე რომ გვტანჯავს ყველას.

ეს ადამიანები არიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის თანამშრომლები.

ოფისს ხელმძღვანელობს კოლორიტული ამერიკელი ქალბატონი ნორმა ჰარმსი, სანდომიანი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც აქვს მომაჯადოებელი, ოდნავ ნაღვლიანი ღიმილი, ჭკვიანი მეტყველი თვალები და ზღვა ენერგია. სწორედ მასთან ერთად მოეწყო თანამშრომლობის ორგანიზაციის, გაეროსა და საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის წარმომადგენელთა ერთობლივი მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის დასავლეთ რაიონებში. მისი მიზანი იყო ერთხელ კიდევ გაცნობოდნენ ადგილზე აფხაზეთიდან ლტოლვილთა მდგომარეობას.

ქალბატონი ჰარმსი სათავეში ჩაუდგა ამ აქციას, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ: თანამშრომლობის ორგანიზაციის პრესოფიცერი კრისტოფერ ტონკოვსკი, სამხედრო მეთვალყურე ულრიკ მარტენი, გაეროს წარმომადგენელი ბორის აიზენბაუმი, აფხაზეთის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეთერ ასტემიროვა და ამ სტრიქონების ავტორი, საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის საზღვარგარეთთან კავშირის სამმართველოს უფროსი.

მინდა, ამთავითვე გითხრათ: კომიტეტს მრავალგზის შეუტყობინებია გაეროსა და სხვა ავტორიტეტიანი საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომ ლტოლვილნი უაღრესად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რომ გრძელდება აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის გენოციდი.

შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად საქართველოში გაეროს სპეციალური მისიის მოვლინების შესახებ ორჯერ გაეგზავნა თხოვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა უზენაეს კომისარს ბატონ აიალა ლასოსს. და აი ახლა — ეს მივლინება რეალობად იქცა.

ჩვენი მარშრუტი: ქუთაისი, სენაკი, ზუგდიდი, აფხაზეთის გალის რაიონი.

ქუთაისი 3500 წლისაა! დედამიწაზე ესოდენ ხანდაზმული ქალაქი სულ რამდენიმეღა დარჩა. მაგრამ უკანასკნელი წელიწადნახევრის მანძილზე ქუთაისი გაახალგაზრდავდა კიდეც, დამშვენდა. მის სახეზე გაქრა ნაღველი და აპათია. არის რწმენა, რომ ხვალ უკეთ ვიქნებით, ოდნავ უკეთ მაინც.

ქუთაისმა მიიღო და დააპურა ათასობით ლტოლვილი. არა მარტო დააპურა, არამედ, სამუშაოც მისცა. დაარწმუნა ადამიანები, რომ აქ ისინი საჭირონი არიან.

და მაინც, ლტოლვილებს უჭირთ. ძალიან უჭირთ. მაგრამ ისინი უძლებენ გაჭირვებას. ჯერჯერობით უძლებენ.

ამ და სხვა პრობლემებზე ქალაქის მერიაში სტუმრებთან ვრცელი და ძალზე გულახდილი საუბარი გაიმართა.

— არასდროს არ მეგონა, რომ შეიძლებოდა ადამიანი ასეთი ძლიერი ყოფილიყო.

— არასდროს არ მეგონა, რომ მთელი მსოფლიო შეიძლება ასეთი სუსტი იყოს და არ შესწევდეს უნარი აღადგინოს სამართლიანობა. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად იგი ითმენს უკანონობასა და თვითნებობას, მას არ ძალუძს ქმედითი გავლენა მოახდინოს აფხაზეთის ტრაგედიის რეჟისორებზე, რათა ასიათასობით ადამიანი დაუბრუნდეს მშობლიურ კერას, — ეს ქუთაისის მერის თეიმურაზ შაშიაშვილის სიტყვები გახლავთ.

— წლეულს, სექტემბერში, — განაგრძო მერმა, — იუნესკოს გადაწყვეტილებით აღინიშნება ჩვენი ქალაქის იუბილე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის 1000 წლისთავი. ყველას გეპატიჟებით ამ დღესასწაულზე. დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენი მოღვაწეობაც წვლილს შემატებს საერთო საქმეს და იმ დროისათვის საქართველო გაერთიანდება. ჩვენს მიწა-წყალზე დაისადგურებს ნანატრი მშვიდობა და ჩვენ შეგვეძლება მადლობა გითხრათ.

— ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ სწორედ ასე მოხდება, —აღუთქვა თანამოსაუბრეებს ბორის აიზენბაუმმა.

— მე საკუთარი თვალით ვნახე ლტოლვილთა ტრაგედია სოხუმის დაცემის შემდეგ. ვნახე, როგორ იტანჯებოდნენ ადამიანები.

ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ქალბატონმა ნორმა ჰარმსმა.

— ყველა ლტოლვილს უფლება აქვს დაუბრუნდეს მშობლიურ კერას. ვინც ამას არ ანებებს ლტოლვილებს, იგი დანაშაულს სჩადის. ჩვენი მიზანია ყველას ვაუწყოთ სიმართლე იმის შესახებ, თუ რა დღეში არიან ლტოლვილები. მე ვიცი, ხალხს გული აუცრუვდა საერთაშორისო ორგანიზაციებზე. მაგრამ ჩვენ შევეცდებით დაგეხმაროთ. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი პირველი ერთობლივი ვიზიტი.

მერე იყო შეხვედრა ლტოლვილებთან ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. იგი გახდა ერთგვარი თავშესაფარი იმათთვის, ვინც წინათ მუშაობდა აფხაზეთის ოდესღაც განთქმულ საწარმოში, სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში“.

სოხუმელებმა პრაქტიკულად ცარიელი ენთუზიაზმის წყალობით, შესაბამისი მოწყობილობის გარეშე დაიწყეს აქ 19 დასახელების პროდუქციის გამოშვება. და მათ შორის არის განთქმული სოხუმური ფლომასტერები.

— სოხუმში ჩვენი ქარხანა გაჩერებულია, ჩვენ კი აქ ვმუშაობთ, სევდიანი ღიმილით თქვა „ორგტექნიკის“ დირექტორმა ალუ გამახარიამ.

რომ მუშაობენ, ეს მისი უდიდესი დამსახურებაა. სწორედ მან, ალუ გამახარიამ შეძლო მოეზიდა და დაერაზმა ადამიანები, გადაექცია სასოწარკვეთილი ლტოლვილები თანამოაზრეებად, რომლებმაც გაჭირვების ჟამს მხარი მისცეს ერთმანეთს.

მე მგონი, ამას სოციალური ფსიქოლოგიის ვერავითარ კურსებზე ვერ ისწავლი.

მე მგონი, ეს არის ღვთისაგან მომადლებული ნიჭი — ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობის უნარი, უნარი — უწილადო სხვებს შენი გულის სითბო. უწილადო ისე ორგანულად და გულწრფელად, რომ ადამიანებმა ერთბაშად შეიგრძნონ ეს სითბო.

ქალბატონ ნორმა ჰარმსს, ანუ ნორმას, როგორც მას უბრალოდ მიმართავენ კოლეგები, გარს შემოეხვივნენ ლტოლვილი ქალები — ქართველები, რუსები. იყო მათ შორის აფხაზი ქალი, ყოფილი თავადიშვილი ემუხვარიც.

გასაოცარია, მაგრამ 10 წუთის საუბრის შემდეგ ქ-ნი ნორმა — რაფინირებული ვაშინგტონელი დიპლომატი, ამ ნატანჯი და გაწამებული ქალებისათვის ფრიად ახლობელი გახდა. გახდა მეგობარი, რომელსაც შეგიძლია უამბო ყველაფერი, გაანდო ყველაზე საწუხარი გულისნადები.

არადა, შემზარავ ამბებს ჰყვებოდნენ.

აქ არ შეგაწყენთ თავს ამ ამბების მოყოლით. ხშირი გამეორებისაგან ყველაზე შემზარავი ფაქტებიც კი ერთგვარად ნიველირდება, ჰკარგავს თავის ტრაგიკულ არსს.

სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, უთქვამს ხალხს. და ხშირად სხვისი, გულგრილი კაცის ხელში მოხვედრილი ტრაგიკული ამბავი იქცევა აბსტრაქტულ პროპაგანდისტულ სტერეოტიპად, რომელიც არავის არ აღელვებს.

მე არ ჩამოგითვლით კონკრეტულ ფაქტებს. მე შევეცდები რამდენიმე შტრიხი დავუმატო იმ უბედურების ზოგად პორტრეტს, რომელსაც ჰქვია ლტოლვილობა.

მარტო სამეგრელოს რვა რაიონში ისინი 150 ათასი არიან. მეტნიც იყვნენ. მაგრამ ვიღაც მოკვდა, ვიღაცეები სადღაც წავიდ-წამოვიდნენ. იმათ, ვინც დარჩა, წასასვლელი არა აქვთ. მათ შეუძლიათ მხოლოდ მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. ომამდე სენაკში 20 ათასი კაცი ცხოვრობდა. ახლა მათ დაემატა კიდევ 20 ათასი. 20 ათასი ლტოლვილი.

რაიონის ინფრასტრუქტურა თვალსა და ხელს შუა ინგრევა, ვერ უძლებს უზომო დატვირთვას.

ლტოლვილებმა დაიკავეს სკოლები, საბავშვო ბაღები, სხვა საზოგადოებრივი შენობები. მაგრამ სადგომად მაინც არ ჰყოფნით. ადამიანები ნებისმიერ ჭერქვეშ ცხოვრობენ, ბოსლებშიც კი. ზოგიერთ რაიონში უკვე 7 თვეა, არ შემოსულა ჰუმანური დახმარება.

ლტოლვილები შიმშილობენ. უჭირთ ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ისინი უმიწაწყლონი არიან. წვრილმანი საცალო ვაჭრობით ყველა ვერ გაიტანს თავს.

იზრდება თვითმკვლელობათა რიცხვი, ხშირდება შემთხვევები, როდესაც სასოწარკვეთილი დედები მშიერ შვილებს რაიონულ გამგეობებში ტოვებენ. სიკვდილიანობა ლტოლვილებს შორის 3-4-ჯერ მეტია, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობას შორის. არადა, ადგილობრივ მოსახლეობას პრაქტიკულად ამოეწურა შესაძლებლობა კვლავაც დაეხმაროს ლტოლვილებს.

ნერვები ყველას დაწყვეტაზე აქვს. მიუსაფრებსაც და მფარველებსაც. გაჩნდა ლტოლვილთა წინააღმდეგ გაღიზიანების სინდრომი.

როდემდე გაგრძელდება ასე?! ადამიანები უკვე აღარავის წინაშე აღარ იხევენ უკან, იციან, რომ საშიშია, მაგრამ მაინც გადადიან ენგურს. გადადიან და ნაღმებზე ფეთქდებიან. უკვე ასამდე კაცი დაიღუპა.

მას შემდეგ, რაც სტუმრებმა ნახეს და მოისმინეს, აბსოლუტურად ლოგიკურად გაისმა სახელმწიფო მინისტრის, სამეგრელოში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის გივი ლომინაძის სიტყვები:

— როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვაზე ლაპარაკობენ და ლტოლვილებს გულისხმობენ, ეს არის თითქმის ცინიზმი, მასხრად აგდება და სხვა არაფერი.

ლტოლვილთა დაბრუნების გზა ვერ იქნება უსასრულო. ხალხს ყელში ამოუვიდა ფუჭი დაპირებები, ასე გაგრძელება წარმოუდგენელია...

გივი ლომინაძე, მრავალნაცადი და მრავლისმნახველი კაცი, რომელსაც აშკარად ეტყობა თანდაყოლილი ტაქტი და ინტელიგენტურობა, თავს ვერ იკავებს, ღელავს.

— სიტუაცია შეიძლება ყოველ წუთს აფეთქდეს. სოხუმის დაცემის შემდეგ, ჩვენ მშვიდობას იოტისოდენადაც ვერ მივუახლოვდით.

— მსოფლიო საზოგადოებრიობას სურს დაარწმუნოს არძინბა, მას კი, ბოდიში და, საზოგადოებრიობა ფეხებზე ჰკიდია, თუ არძინბაზე მტკიცე ზემოქმედება არ მოახდინეს, მშვიდობიანი გზა უაზრო ხდება.

— პარადოქსია! მშვიდობისმყოფელთა მოსვლის შემდეგ ქართველი მოსახლეობის გენოციდი სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში არამცთუ არ შეწყდარა, გაძლიერდა კიდეც.

— თუ ისინი ვერ ფლობენ სიტუაციას, გაეცალონ აქაურობას.

„გაეცალონ აქაურობას“, — სასოწარკვეთილი, ყველაფერზე გულაყრილი ხალხის ეს აზრი ხშირად გაისმოდა ზუგდიდში, ლტოლვილებთან შეხვედრებზე.

ამ შეხვედრების ზოგიერთმა მონაწილემ შეძლო გალში, მშობლიურ კერაზე ჩასულიყო, მაგრამ ისევ აიძულეს ლტოლვილნი გამხდარიყვნენ.

გალის რაიონით უნდა დაწყებულიყო მშობლიურ კერაში ადამიანთა მასობრივი დაბრუნების პროცესი. უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვერ დაიწყო. რატომ? მიზეზი ბევრია, აქ ვერ შევძლებთ მათს ანალიზს. გიამბობთ მხოლოდ ზოგიერთზე.

უკვე ომის დამთავრების შემდეგ აქ „დაუდგენელი“ ბოევიკების ხელით ასობით მშვიდობიანი მცხოვრები დაიღუპა. დღემდე ამ ფაქტების გამო არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

რაიონში არ ფუნქციონირებს არც ერთი ქართული სკოლა, ხოლო მის ადმინისტრაციაში არ არის არც ერთი მკვიდრი მცხოვრები. მოსახლეობას, როგორც მონებს, უსასყიდლოდ ამუშავებენ. ნორმად იქცა ადამიანთა გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით.

ომამდე გალში 20 ათასი სახლი იდგა. 8 ათასი ნაცარტუტად იქცა. ეს მოხდა იმ რაიონში, რომლის მოსახლეობა პრაქტიკულად არ მონაწილეობდა საომარ მოქმედებაში.

რატომ დაიწვა ამდენი სახლი?

ზოგჯერ სახლებს წვავდნენ, რომ ...გამთბარიყვნენ.

ზოგჯერ იმიტომ, რომ სიბნელეში მანქანა უნდა შეეკეთებინათ და სინათლე სჭირდებოდათ.

ზოგჯერ კი... ისე წვავდნენ, თავშესაქცევად.

სოფელ განახლებაში ცეცხლი წაუკიდეს სერაპიონ ლაგვილავას სახლს. მეზობლებმა ხანძრის ჩაქრობა დაიწყეს. ყველანი დახვრიტეს, 9 კაცი.

რეგულარული გახდა ეგრეთ წოდებული რაიონის წმენდა. წმენდას ეძახიან მშვიდობისმყოფელთა თვალწინ მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტას.

აი, როგორ აღწერს უკანასკნელ ასეთ ეგზეკუციას მისი ერთ-ერთი თვითმხილველი:

— 11 მარტს, დილის 4 საათზე გალში შემოვიდა ბოევიკების რაზმი, 500 კაცი. ყველანი პოლიციელის ფორმით იყვნენ. სამი დღის განმავლობაში გამოუძიებლად და გაუსამართლებლად დახვრიტეს 18 მშვიდობიანი მოქალაქე, ძირითადად ხანდაზმული ადამიანები.

14 მარტს ბანდიტები წავიდნენ. მერე ჩვენ კიდევ 12 გვამი ვიპოვეთ. ამის შემდეგ გადმოვცურე ენგური.

ყოველივე ზემონათქვამი — ეს არის არა დაქსაქსული ფაქტები, არამედ აფხაზეთში ჯერ კიდევ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის გამოდევნის შეგნებული პოლიტიკა.

და მაინც, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ გალში არავინ არ ბრუნდება.

არაოფიციალური თუ ოფიციალური გზით, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანები, მართალია ცოტანი, მაგრამ მაინც ბრუნდებიან, ცხოვრება აიძულებს.

ვდგავარ ენგურის ხიდთან და გაღმა მხარეს გავყურებ. ხიდზე ახლახან გადავიდა მანქანა, რომელშიც ჩვენი ჯგუფის უცხოელი წევრები არიან.

წინ ბეტონის ხერგილებია და ჯარისკაცები.

ამოწმებენ საბუთებს. ადამიანები ორ-ორნი, სამ-სამნი, დისტანციის დაცვით, თითქოს ხელის ცეცებით გადადიან ხიდს. უყურებ და ბოლმა გახრჩობს, თითქოს რაღაც ფილმს უყურებდეთ ჯაშუშებზე, მათ გაცვლაზე.

მაგრამ ეს კინო არ არის.

მე ხიდთან ვდგავარ, გვერდით ნინო ჯაბადარია, ახალგაზრდა ზუგდიდელი ჟურნალისტი. მოხდენილი, ლამაზი ქალი. მიკროფონიც წამოუღია, აქ ვერაფერში რომ ვერ გამოიყენებს.

წვიმს. გავილუმპეთ, მაგრამ მანქანაში არ ვსხდებით. ნანა ტირის:

— რა ვქნა, ძალიან მენატრება სოხუმი.

ნანა სოხუმელია. ჭანბას ქუჩაზე დაიბადა. იქ იცხოვრა ოც წელიწადზე მეტ ხანს. ეს ორი წელიწადია პატარა ბავშვით ხელში დადის საქართველოში ალმა-დალმა თავშესაფრის საპოვნელად.

— ამ ცოტა ხნის წინ წერილი დავწერე მერცხალზე — „მელოდე, აფხაზეთო!“ ვთხოვდი შავ მერცხალს, გაფრენილიყო მშობლიურ ადგილებში, ენახა ჩვენი დანგრეული სახლი, ჩამოეტანა ამბავი. მაგრამ შავი მერცხალი არ დაბრუნებულა.

იმავე დღეს, საღამოს, ჩვენი ჯგუფის წევრები, უაღრესად დაღლილნი და დათრგუნულნი, ზუგდიდს დაბრუნდნენ.

თავს არ შეგაწყენთ მათი შთაბეჭდილებების აღწერით. ისე კი, მგონია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები, ბოლოს და ბოლოს, თანდათან იცნობიერებენ შექმნილი მდგომარეობის მთელ სიმძიმეს.

მაისის ბოლოს არის დაგეგმილი ახალი ერთობლივი მოგზაურობა იგივე მარშრუტით.

ეგებ, ვარდობისთვეში ჩამოუტანოს ამბავი შავმა მერცხალმა ნანას!

დევი ფუტკარაძე.

რას წერს გერმანული პრესა

გერმანიის პრესა განაგრძობს რუსეთის პოზიციის გაშუქებას ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების გამო. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ჩერნომირდინმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „რა მიმართულებითაც უნდა გაფართოვდეს ნატო, ეს კარგს არაფერს მოიტანს“, ხოლო ანდრეი კოზირევმა თქვა, რომ „ჩვენ ნატოს გაფართოების წინააღმდეგები ვართ, მაგრამ მხარს ვუჭერთ მასთან პარტნიორობას“. კოზირევის აზრით, ნატოს გაფართოება აუცილებლად გამოიწვევს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტის ხელახალ გამწვავებას, რადგან მის გაფართოებას და რუსეთის საზღვრებამდე მისვლას მხოლოდ ერთი მიზანი შეიძლება ჰქონდეს, რუსეთისგან დაიცვას თავისი გავლენის სფერო, ეს კი აუცილებლად ახალი დაპირისპირების მომასწავებელია.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია კოზირევის ამასწინანდელმა გამონათქვამმა, რომ რუსეთი შეიძლება იძულებული გახდეს, თუკი ამას ახლო საზღვარგარეთში რუსი მოქალაქეების ინტერესები მოითხოვს, საკუთარი არსენალის ყველა საშუალება გამოიყენოს მათ დასაცავად, მათ შორის — სამხედრო ძალაც. კოზირევმა მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ მისი ეს გამონათქვამი არ უნდა გავიგოთ, როგორც ომის პროპაგანდა, მაგრამ ამ სიტყვებმა დასავლეთი მაინც სერიოზულად შეაშფოთა.

კოზირევს პირადი შეხლა-შემოხლაც მოუვიდა ამ გამონათქვამის გამო ესტონეთის პრეზიდენტთან ტრილატერალური კომისიის შეკრების დაწყებამდე. კოზირევი შეეცადა, საერთაშორისო მაგალითებით გაემართლებინა თავისი გამონათქვამი და საფრანგეთის და ბელგიის მოქმედება დაიმოწმა, როდესაც ეს ორი ქვეყანა სამხედრო ძალით ცდილობდა თავისი მოქალაქეების მშვიდობიან გამოყვანას ზაირიდან და არავის მოსვლია თავში აზრად, ნეოიმპერიალისტობა დაებრალებინა მათთვის. კოზირევზე გავლენა არ მოუხდენია საპასუხო არგუმენტს, რომ ბელგიას და საფრანგეთს მხოლოდ თავიანთი მოქალაქეების გამოყვანა უნდოდათ ზაირიდან და არა ზაირში საკუთარი პოზიციების განმტკიცება ან ამ ქვეყნის მთავრობის შეშინება. ბჟეზინსკიმ კოზირევის ბოლო გამონათქვამებს ისტერიული, ხოლო გრაჩოვისას პარანოიული უწოდა.

პარალელურად გრაჩოვი მოითხოვს ევროპაში კონვენციური განიარაღების ხელშეკრულების რუსეთის სასარგებლოდ შეცვლას, რისი წინააღმდეგიც არიან ამერიკა და საფრანგეთი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კლაუს კინკელი კი კოზირევის გამონათქვამების გამო ამბობს, რომ რუსეთი მუქარით ვერაფერს მიაღწევს, ამ ენაზე მას არავინ დაელაპარაკება და ეს მხოლოდ გაართულებს პოლიტიკურ სიტუაციას. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება რომ გარდაუვალი ფაქტია, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება, მაგრამ საჭიროა რუსეთმაც გაიგოს, რომ იგი მის წინააღმდეგ კი არ არის მიმართული, არამედ, პირიქით. ნატოს რუსეთთან ერთად უნდა უსაფრთხოების დიდი სივრცის შექმნა ევროპაში და პარტნიორობა რუსეთთან, რაც მისსავე ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. კლინტონის აზრით, ნატოში გაწევრიანება არც ერთ ქვეყანას არ ეკრძალება, ნატო დაინტერესებულია, კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან, თუმცა, ამავე დროს, კლინტონი მეტად უკმაყოფილოა რუსეთის გეგმით, ირანს მიჰყიდოს ორი ატომური რეაქტორი და ამით ირანს ატომური იარაღის წარმოების საშუალება შეუქმნას.

ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გამო, ელცინმაც გამოთქვა თავისი მოსაზრება. მან აღნიშნა, რომ ამ აქციით **„ახალი საზღვარი გაივლება არა მარტო ევროპის რუკაზე, არამედ, ადამიანთა გულებშიც“**; მან ისიც აღნიშნა, რომ მოსკოვში ბილ კლინტონთან შეხვედრისას ორივე პრეზიდენტი ეცდება კომპრომისული გადაწყვეტილების მიგნებას.

რუსეთმა უკვე განაცხადა, რომ აპირებს განიარაღების ხელშეკრულების დარღვევას. რუსეთის ჯარის მთავარსარდალმა ვლადიმერ სემიონოვმა ინტერფაქსს განუცხადა, რომ 1 ივნისისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი, 58-ე არმია ჩამოყალიბდება, ხოლო გროზნოში ახალი სატანკო დივიზია განლაგდება. რუსეთი პარალელურად აცხადებს, რომ ამ აქციით არ ირღვევა კონვენციური განიარაღების ხელშეკრულების მიხედვით დაკანონებული საზღვრები, მაგრამ, ამასთანავე, აცხადებს, რომ **„რუსეთის მთლიანობისა და უსაფრთხოების ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამ დოკუმენტის ძირითადი პრინციპები“**. გენერლის აზრით, **„დღეს, როცა აღარ არსებობს ვარშავის ხელშეკრულება და სსრ კავშირი, ამ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები გადასახედია“**, ეს ხელშეკრულება 1990 წლის 19 ნოემბერს დაიდო ნატოსა და ვარშავის პაქტს შორის და აწესრიგებს ტანკების, სამხედრო თვითმფრინავებისა და სხვა საბრძოლო იარაღის განლაგების რაოდენობასა და უკიდურეს საზღვრებს.



სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ეს საზღვრები მის მემკვიდრე ქვეყნებზე გადანაწილდა და იგი რუსეთს სანკტ-პეტერბურგიდან კავკასიამდე 580 ტანკის ქონების უფლებას აძლევს. გრაჩოვი დიდი ხანია, იბრძვის ამ რაოდენობის შესაცვლელად, მოსკოვს უნდა ამ რეგიონში 2500 ტანკის დაყენება. ნატო რუსეთის განცხადებას ამ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ უარყოფითად შეხვდა.

აღნიშნულის გამო, მთელი მსოფლიო ინტერესით მოელის უმაღლესი დონის შეხვედრებს მოსკოვში 9, 10 და 11 მაისს. კლინტონის მოგზაურობას რუსეთში მეტად სახიფათოს და სარისკოს უწოდებენ. უკანასკნელ ხანს, კლინტონს სულ უფრო უჭირს რუსეთთან გატარებული პოლიტიკის დაცვა თავის სამშობლოში. თუკი იგი ელცინთან მოლაპარაკებისას წარმატებას ვერ მიაღწევს, მაგალითად, ირანის საკითხში, ახალი პრობლემები გაუჩნდება თავის კონგრესთან.

როგორც ჩანს, რუსეთსა და გერმანიას შორის ისედაც უკვე გამწვავებულ ურთიერთობას, ჯერჯერობით, დაცხრომა არ უწერია. რამდენიმე დღის წინათ, პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაუგზავნა 165-კაციანი სია რუსი ეროვნების ადამიანებისა, რომელთაც ბრალად ედებათ ჯაშუშობა, და მოსთხოვა მათი ქვეყნიდან გაძევება. ცნობილია, რომ ელცინის ბრძანებით საერთოდ გააქტიურდა რუსეთის საჯაშუშო ქსელი დასავლეთში, ისიც ცნობილია, რომ როგორც ძველ დროში, ნებისმიერ ადამიანს, ვინც მივლინებით ჩავა უცხოეთში, ევალება დაწვრილებითი ანგარიშის წარდგენა შესაბამის ორგანოებში. გერმანული პრესა იმასაც აღნიშნავს, რომ ასევე გააქტიურდა რუსეთში უცხოელ მოქალაქეთა თვალყურისდევნება და მათი სატელეფონო საუბრების მოსმენა. **„დი ველტი“** იმასაც აღნიშნავს, რომ ეს გამოცოცხლება აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ჩეხეთშიც შეიმჩნევა, ხოლო ჯაშუშობის ახალი ბუმის სამიზნე ყველასთვის გერმანია აღმოჩნდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, აღმოსავლეთის ინტერესი დასავლეთში და კერძოდ, გერმანიაში, სამხედრო საიდუმლოებები კი აღარაა, არამედ ეკონომიკა. აღმოსავლეთის ახალი შპიონები იგივე საშუალებებით და წესებით მოქმედებენ, როგორც ადრე კგბ.

გასული ორი კვირის მანძილზე გერმანული პრესა კვლავ ბევრს წერდა „პლუტონიუმის საქმის“ გამო. როგორც ვიუწყებოდით, გერმანიის ბუნდესტაგმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გაერკვია „პლუტონიუმის საქმეში“ გერმანიის უშიშროების სამსახურის როლი. კომისიის შექმნა სოციალ-დემოკრატებმა, ანუ ოპოზიციამ მოითხოვა და მას ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი. თუმცა, ბუნდესტაგის პლენარულ სხდომაზე გაირკვა, რომ კომისიის შექმნა უმრავლესობასა და უმცირესობას სხვადასხვა მიზნით სდომებიათ. კომისიის სხდომა, რომელსაც ერთი მთავარი საკითხი უნდა გაერკვია, იყო თუ არა პლუტონიუმის მიუნხენში ჩამოტანა უშიშროების სამსახურის დადგმული სპექტაკლი, გაიმართა პლენარული დარბაზის უკან მდებარე სპეციალურ დარბაზში, რომლიდანაც არაფრის მოსმენა არ ხერხდება. უმრავლესობის მიზანი იყო მიუნხენის აეროპორტში მოსკოვიდან მომავალი ლუფტჰანზას თვითმფრინავის ბორტზე აღმოჩენილი პლუტონიუმის საშუალებით წარმოეჩინა უშიშროების სამსახურის კარგი მუშაობა და დაეცვა არამარტო თავად ეს სამსახური, არამედ კანცლერის მრჩეველიც უშიშროების დარგში შმიდბაუერი, ხოლო ოპოზიციას კომისიის შექმნით, ამოძრავებდა სურვილი, დაემტკიცებინა, რომ თუკი სამსახურმა იცოდა, რა მოჰქონდათ აღნიშნული თვითმფრინავით და დაელოდა მის მიუნხენში ჩამოტანას, ამით საფრთხე შეუქმნა აეროპორტს და ეს მას არამცდაარამც არ ჩაეთვლება კარგ მუშაობაში. ოპოზიციამ მოითხოვა ამ სამსახურის მუშაობის გადასინჯვა და მისი ახლანდელი ხელმძღვანელობის შეცვლა. კომისიაში მწვანეების წარმომადგენელი კი ნებისმიერ შემთხვევაში უპირისპირდება და აკრიტიკებს უშიშროების სამსახურს — თუკი მათ იცოდნენ, რა იდო თვითმფრინავში, მოსკოვშივე უნდა აღეკვეთათ მისი მიუნხენამდე ჩამოტანა, ხოლო თუკი არ იცოდნენ, ესეც მათი ცუდი მუშაობის მაჩვენებელია. ქრისტიან-დემოკრატთა წარმომადგენელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ არავინ არ გადადგება, რადგან ამის მიზეზი არ არსებობს და მთელი ეს ამბავი **„შპიგელის“** პროვოკაციული წერილის ბრალიაო.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გერმანიაში.

ბონი, 8 მაისი.

რუსეთის პრესის სარკეში

ცოტა რამ პოლიტიკურ ფოლკლორზე

ჩვენი შფოთიანი დროების სოციოლოგებმა დააფიქსირეს არაჩვეულებრივი ფაქტი: თურმე, მოსახლეობის უმრავლესობა თავის საინფორმაციო მოთხოვნილებას იკმაყოფილებს არა გაზეთების და თვით ისეთი ინფორმაციული მონსტრის მეშვეობით, როგორიც არის ტელევიზია, არამედ კერძო საუბრებით და ქუჩაში ყურმოკრული ამბებით, რომლებიც მეტწილად ჭორებიდან მომდინარეობს.

ეს აღმოჩენა არახალია. პოლიტიკური ფოლკლორის ჟანრი ძველზე ძველია, და ჩვენს ელექტრონულ-კომპიუტერულ ხანაშიც არ თმობს პოზიციებს.

მაგრამ, როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, და ის, რაც ხალხური ზეპირსიტყვიერება გვეგონა, ზოგჯერ რეალობად გვევლინება.

მაგალითად, საიუბილეო გამარჯვების დღის ზეიმზე ითქვა, რომ ნამდვილ მონაცემებს მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მიერ გაღებული მსხვერპლის შესახებ დიდი ხნის განმავლობაში საგულდაგულოდ მალავდნენ. გამარჯვების პირველ წლისთავზე სტალინმა მსხვერპლთა რაოდენობა 7 მილიონით შემოფარგლა, და ეს ციფრი დიდხანს რჩებოდა კანონიკურად, თუმცა ომის ყველა მონაწილემ იცოდა, რომ ეს ასე არ არის. ხრუშჩოვმა „გაბედა“ დაესახელებინა ციფრი 20 მილიონი, რამაც კიდევ უფრო მეტად განამტკიცა ხალხის ცნობიერებაში ეჭვები. არადა, საკმარისია, ერთხელ მოიტყუო, რომ... ახლა კი სპეციალისტებმა დაიანგარიშეს, ხოლო რუსეთის ჟურნალისტებმა გამოაქვეყნეს ახალი მონაცემები დაღუპულთა შესახებ — 43 მილიონი(!) კაცი. ღმერთმა ქნას, ეს ციფრი საბოლოო იყოს.

ისე კი, დღესასწაულმა, თუ პრესით ვიმსჯელებთ, ჩაიარა ნაირფერი — წითლიდან ყავისფრამდე — დროშებით, იაფი ძეხვის ნაჭრისა და „საყოველთაო-სახალხო აღტაცების“ ფონზე.

ამასთან, გაზეთ **„ტრუდის“** კორესპონდენტთან საუბრისას პრეზიდენტის თანაშემწემ ა. ლივშიცმა დიდი ოპტიმიზმი გამოხატა— „ჩვენ გავიარეთ კრიზისიდან გამოსასვლელი გზის მეტი ნაწილი“. თუ რა ითვლება ამ გზის მეტ ნაწილად, თანაშემწეს არ დაუზუსტებია.

მაგრამ ოპტიმიზმი უკვე აღარ სჩვევია ხელისუფლების ყველა წარმომადგენელს, როგორც წინათაც აღვნიშნავს. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ნაზარჩუკი გაზეთ **„სელსკაია ჟიზნში“** წერს, რომ ერთ-ერთი წამყვანი დარგი „ფინანსურ ჩიხშია“ მოქცეული. ამასთან, თითოეული „დარგობრივი“ გაზეთი მეტნაკლებად ადასტურებს ასეთსავე მდგომარეობას თავის დარგში.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაზეთები სულ უფრო მწვავედ განიხილავენ წინასაარჩევნო თემას. ჟურნალისტური ვარაუდების ჭრელი კალეიდოსკოპისა და უხვი პროგნოზებისგან თვალწინ გვიდგება მომავალი ხელისუფლებისთვის ბრძოლის შემდეგი სურათი — ახლად მოვლენილი ჩერნომირდინისა და რიბკინის პროსამთავრობო ბლოკების გარდა თავიანთი განზრახვები გამოაცხადეს: „რუსეთის გაერთიანებულმა სამრეწველო პარტიამ“, რომელიც მიზნად ისახავს აღადგინოს სამპყრობელოს ინდუსტრიული პოტენციალი; „თავდაცვითი დარგების ხელშემწყობმა ლიგამ“; მოძრაობამ „წინ, რუსეთო!“, რომლის ლიდერი ბორის ფედოროვი სხვადასხვა მიმართულების დემოკრატებს სთავაზობს დადონ „შეთანხმება არაკონკურენციის შესახებ“; „რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკურმა პარტიამ“, რომელმაც გადაწყვიტა გამოვიდეს დამოუკიდებელ ძალად, ოღონდ დაეყრდნოს თვალსაჩინო, პოპულარულ ფიგურებს; „რუსეთის დემოკრატიული რეფორმების მოძრაობამ“ გავრიილ პოპოვის თაოსნობით; მოძრაობამ „დემოკრატიული რუსეთი“, რომელსაც თავისი პროგრამის მთავარ პუნქტად მიაჩნია „წინ აღუდგეს ფაშისტურ ძალებს“; „სახალხო სინდისის პარტიის“ ბლოკმა, რომლის ლიდერმა ალექსანდრე კაზანიკმა „სახალხო პარტიაში“ თანამონაწილეობისთვის მიიწვია ტელმან გდლიანი, რომელიც ისევ წამოტივტივდა. მიჩნეულია, რომ მათ აერთიანებთ „ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში კორუფციისა და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის“ ამოცანა. კიდევ ერთი სოციალისტური მიმართულების მემარცხენე ცენტრისტული ბლოკის შექმნა გამოაცხადა ნ. რიჟკოვმა.

ИЗВЕСТИ
НОВ
ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ГАЗЕТА

მაგრამ რუსეთის გაზეთები ძირითად ყურადღებას მაინც სახელმწიფოს პირველ პირთა წინასაარჩევნო მოქმედებას უთმობენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა **„როსიისკიე ვესტის“** ცნობა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის ჩერნომირდინი: „პრეზიდენტმა პოლიტიკურ ფრონტზე გამოგდო პრემიერი და მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — წარმატების შემთხვევაში ჩერნომირდინი ხდება სულ ცოტა დუბლიორი, ან არადა, მემკვიდრეობის კანდიდატი.

და აქვე კვლავ ვუბრუნდებით „ხალხურ შემოქმედებას“. მასებს ვერ გადაარწმუნებ, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ პროგრამაში მომიზეზებული სახალხო აზრი სხვა არა არის რა, თუ არა წინასაარჩევნო რიტორიკის ცბიერი ხერხი. და, როგორც პრესა აღნიშნავს, ეს იმის დასტურია, რომ ხალხმა ჭკუა ისწავლა და ძველებურად გულუბრყვილო აღარ არის.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი“ კვლავინდებურად და, სხვათა შორის, წარმატებით, განაგრძობს კრემლის საიდუმლოებათა გახსნას. ამჯერად საქმე ეხება პრეზიდენტის დროს უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეს გიორგი როგოზინს, რომლისაც, ყოველკვირეულის მტკიცებით, „ეშინია მრავალ ასეულ ადამიანს და ამასთანავე სძულს“. თურმე „საინფორმაციო-ანალიზური უზრუნველყოფის საიდუმლო სამსახური“, როგოზინის მეთაურობით ლამის მთელ სახელმწიფო მანქანას მეთვალყურეობდა. და ამ თვალთვალისთვის უშიშროების კომიტეტის ცნობილი მეთოდების გარდა იყენებდა პარაფსიქოლოგიას, ექსტრასენსორიკას, ტელეპათიას, სპირიტიზმსა და სხვა ოკულტურ მეცნიერებებს.

მთელ ამ მისტიკას გაზეთი გვაუწყებს გასაგები ირონიით, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ არსებობს ასეთი გავლენიანი, ყოვლად შეუზღუდავი და სახელმწიფო მოხელეებისთვის თავზარდამცემი „ანალიტიკოსი“, გაზეთის სერიოზულ შიშს იწვევს. უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ როგოზინი უმაღლესი თანამდებობის პირთან ფრიად დაახლოებული პერსონა იყო. ვინ იცის, ხომ არ ხდება რასპუტინის ტრადიციების რეანიმაცია?

დროთა განმავლობაში თვით პოლიტიკა ზეპირსიტყვიერებად იქცევა თეატრალური ბუფონადისა თუ ნიღბების კომედიის სტილში.

„იზვესტია“, „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, მოსკოვისა და პეტერბურგის მთელი რიგი სხვა გაზეთები ბევრს წერდნენ პროფაშისტური ორგანიზაციის ლიდერის ვედენკინის გახმაურებულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. ვედენკინმა, რომელიც ჟურნალისტებმა ბრიგადენფიურერად მონათლეს, პროცესი მოიგო(?!).

თვით ახალგამოჩეკილი ფიურერი მაინცდამაინც არ ამხელს თავისი ბიოგრაფიის დეტალებს, რომლებიც ახლა გამოაქვეყნა მისმა ყოფილმა თანამოაზრემ, ვინმე იანუშევიჩმა.

მე მგონი, ზოგიერთი ეპიზოდი ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

ვედენკინი არაერთგზის შეხვედრია დუდაევს გროზნოში. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დროს, დიდი ნადიმის შემდეგ მეგობრებმა ნასუფრალზე მსოფლიოს რუკა გაშალეს და კავკასიის სტრატეგიული სიტუაციის განხილვას შეუდგნენ.

ვედენკინმა კავკასიის მთავარ მტრად გამოაცხადა თურქეთი და წამოაყენა წინადადება, იარაღით მომარაგებინათ თურქეთელი ქურთები. მაშინო, თქვა მან, ქურთები რუსეთს „ბიზანტიის გუბერნიას“ კონსტანტინეპოლიანად დაუბრუნებენო. რაც შეეხება მეგობარ ერაყს, სტრატეგოსებმა საჭიროდ მიიჩნიეს მისი ტერიტორია გაეფართოებინათ კასპიიდან ვიდრე არაბეთის ნახევარკუნძულამდე, ქუვეითის ჩათვლით. შემდეგ სულ რამდენიმე წუთში გადაწყვიტეს აფრიკის კონტინენტის ბედი. ამის მერე ერთი ხელის დაკვრით დაიპყრეს პაკისტანი და ავღანეთი, ხოლო ინდოეთი რუსეთის პროტექტორატად გამოაცხადეს.

დუდაევის კითხვაზე, რა ვუყოთ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს, ვედენკინმა შესთავაზა მოდით, ჯერჯერობით მათ დამლას ნუ დავანებებთ, მაგრამ ამასთანავე გამოვურთოთ გაზი და ელექტრობა, რათა რაც შეიძლება მალე გაჭიმონ ფეხები.

ამ ისტორიულ შეხვედრას, როგორც იანუშევიჩი ამბობს, თურმე გამსახურდიაც დასწრებია. მაგრამ მე ამ დეტალებს გამოვტოვებ, ვინაიდან მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან — არაფერი.

ჰოდა, პოლიტიკურ ზეპირსიტყვიერებაზე ლაპარაკი, სამწუხარო ნოტით რომ არ დავამთავრო, მოვიყვან **„იზვესტიის“** ერევნელი კორესპონდენტის ცნობას რუსეთის დიპლომატიის თავისებურ დემარშზე. ყვავილების ტრადიციულ მაისის დღესასწაულზე ერთ-ერთმა თაიგულების კომპოზიციამ რუსეთის ფედერაციის საელჩოს უკმაყოფილება გამოიწვია, რაც გამოიხატა შესაბამისი ნოტით: „საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის ორმა რუსეთელმა მონაწილემ დაუშვეს გამონათქვამები, რომლებიც არღვევენ თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი ცივილიზებული დამოკიდებულების ელემენტარულ ნორმებს“.

უნდა ვაღიაროთ, რომ სკანდალური თაიგულის ავტორებმა გამოიჩინეს შესაშური გამჭრიახობა და თავიანთი პოლიტიკური ანტიპათიები გამოხატეს უნორმატივო ლექსიკით, ანდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყვავილების მეშვეობით გინებით. იკებანას ფოტოსურათები არ ქვეყნდება.

იური მოსეშვილი.

საქართველოს რესპუბლიკა

მაჯისცემა

როდის ასხამს ქურდული ლომს სახეში ღვინოს?

ქალაქში გავრცელებული ანეკდოტით დავიწყებ. ქურდული ლომების ნადიმზე მისულა. ეს რა ღვინოს სვამთო, უთქვამს და ჭიქით სახეში შეუსხამს. „უხ, შენ მხედრიონელი არ იყოო", — ბოლომდე კბილები გაულრჭიალებიათ ლომებს.

ვერ გეტყვით, იჯდა თუ არა იმ სუფრასთან მხედრიონელი ლომი (რომ მჯდარიყო, ალბათ, ქურდულს მხრებზე თავი არ შერჩებოდა, ამგვარი გამოხშირვის ფაქტებზეც ხომ ლაპარაკობენ?) ან, საერთოდ, ქურდული მეტია თუ ლომი მაშველთა კორპუსში, მაგრამ უიარაღო რომ არც ერთია, დანამდვილებით ვიცი...

იარაღის ძალა კი, მოგეხსენებათ, რაც არის...

სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით მაშველთა კორპუსის რაზმეულის წევრებს ჰქონდათ იარაღის ტარების უფლება, რასაც ზოგიერთი მათგანი ბოროტად იყენებდა.

ამის თაობაზე კარგა ხანია ლაპარაკობენ ჩვენში, ცოტანი — ხმამაღლა, უფრო მეტნი — კულუარებში (რას ვიზამთ, შიშს დიდი თვალები აქვს). ლაპარაკობდნენ პარლამენტშიც, არ შეიძლება სახელმწიფოში არსებობდეს მეორე სახელმწიფო და ისიც შეიარაღებულიო, მაგრამ... ქარავანი თავისი გზით მიდიოდა...

მართალია, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობას არა ერთი უღირსი წევრი გაუძევებია თუ გაურიცხავს თავისი რიგებიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სხვათათვის მაგალითად არ კმაროდა. იარაღით გულმოცემულ ზოგიერთ მხედრიონელს ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, თითქოსდა ბედკრულ ქვეყანას ტერორისტი და ქურდ-ყაჩაღი აკლდა.

რა თქმა უნდა, მაშველთა კორპუსზე ხელაღებით აუგის თქმა არ ეგების, ეს ის ბიჭები არიან, რომლებსაც ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი მიუძღვით და ღირსეული დაფასებაც ეკუთვნით, მაგრამ ბევრს რომ თავს გაუვიდა და რაც მოესურვებოდა იმას ჩადიოდა, აშკარაა.

შეწუხდა დასავლეთი თუ აღმოსავლეთ საქართველო. განსაკუთრებით კახეთი. კარგა ხანს ითმინეს დინჯმა კახელებმა, მაგრამ მიხვდნენ: ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო და თელავში მორიგი ფართომასშტაბიანი ოპერაციის შედეგების შესაჯამებლად ჩასულ სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს განუცხადეს, თუ ხელისუფლება ხართ, კეთილი ინებეთ და თავისუფლად ცხოვრებისა და შრომის პირობები შეგვიქმენითო.

მართალია, დამნაშავეობასთან სისტემატურმა, უშეღავათო ბრძოლამ ბევრი სიმახინჯე ამოატივტივა და აღკვეთა, მაგრამ ბადეს მოყოლილი მაშველთა კორპუსის ზოგიერთი დამნაშავე წევრი დაუსჯელი რჩებოდა (როგორც ხალხი ამბობდა და მაღალი ტრიბუნიდანაც არაერთგზის ითქვა — იჭერდნენ, მაგრამ უშვებდნენ), რაც, ბუნებრივია, მითქმა-მოთქმის საბაბი ხდებოდა მოსახლეობაში...

განსაკუთრებით მაშინ ალაპარაკდა ხალხი, როცა ჯერ ყვარელში (ახლადდანიშნულ გამგებელს თავი გაუტეხეს), მერე კი რუსთავში (მიუხდნენ და შეურაცხყვეს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებული) მომხდარი ინციდენტები ეპატიათ მხედრიონელებს. ამ პატიებას (თანამდებობრივი იგულისხმება, თორემ დამნაშავეების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია) სახელმწიფოს მეთაურმა 8 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე შეცდომა უწოდა, თუმცა ისიც დასძინა: მაშველთა კორპუსის მიმართ გადაწყვეტილება მაშინ იმიტომ ვერ მივიღე, ვფიქრობდი, საამისოდ ხალხი არ იყო მზადო.

დღეს გადაწყვეტილება მიღებულია, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაურის ზემოხსენებული ბრძანებულება: „მაშველთა კორპუსის რაზმეულების წევრთათვის ცეცხლსასროლი იარაღის დროებითი მიცემის უფლების შესახებ" გაუქმებულია.

სახელმწიფოს მეთაურის ამ ნაბიჯს, როგორც მაშველთა კორპუსის, ისე პარლამენტისა და ხალხის შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. მაშველთა კორპუსს ან ნებაყოფლობით უნდა ჩაებარებინა იარაღი, ან... სიტუაცია დაიძაბა, ხელისუფლებისა და მაშველთა კორპუსის ურთიერთობა ძაფზე დაეკიდა. ადამიანებმა, რომლებიც არც სხვაზე ბატონობას ესწრაფვიან და არც მონობას. რომელთაც სურთ იყვნენ კანონებით დაცული თავისუფალი სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქენი, გადაჭრით დაუჭირეს მხარი სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებას. მოსეირენი კი შეხლა-შემოხლის მოლოდინით ამოეფარნენ ღობეს.

მაგრამ...

მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარემ ჯაბა იოსელიანმა პარლამენტს 5 მაისის სხდომაზე ჩვეული პირდაპირობით უთხრა სათქმელი, მერე მათ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებაზე გადაწყვეტილების მიღება სთხოვა და დასძინა, თუ პარლამენტი იტყვის, იარაღს ჩავაბარებთ, ჩვენ მუდამ ისე ვიქცევით, როგორც ქვეყანას სჭირდებაო.

პარლამენტარებს ერთხელ კიდევ მიეცათ საშუალება გაელანძღათ სახელმწიფოს მეთაური და მისი, როგორც თვითონ ამბობენ, განუსაზღვრელი უფლებები. ვისაც რა ეკადრებოდა, კადრულობდა, თუმცა იმას, რომ მაშველთა კორპუსს იარაღი უნდა ჩაებარებინა, ყველა ერთსულოვნად აღიარებდა. ოღონდ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდნენ და ედუარდ შევარდნაძეს მხედრიონისათვის ადრე იარაღის ტარების უფლების მიცემისათვის თათხავდნენ. არა მარტო ამისთვის; პოლიტიკურ ინტრიგებშიც სდებდნენ ბრალს...

ადრინდელი განკარგულებაცა და ახლანდელიც დრომ მოიტანა, ყველაფერი მაშინაც და ახლაც დრომ მიკარნახაო, თქვა პრესკონფერენციაზე ბატონმა ედუარდმა და დასძინა, ვფიქრობ, გადაწყვეტილება საერთო მხარდაჭერას იწვევს. ამით კი სრულებითაც არ ადგება ჩრდილი ქვეყნისათვის მხედრიონელთა დამსახურებას, თავგანწირვასა და თავდადებას, ეს ისტორიული სინამდვილეა, მაგრამ ქვეყანა არა გუშინდელი, არამედ დღევანდელი და ხვალინდელი დღის ინტერესებით უნდა ცხოვრობდეს. სახელმწიფო სისტემა ქვეყანაში წესრიგს უნდა ამყარებდესო.

ერთი სიტყვით, პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებას — „მაშველთა კორპუსის რაზმეულის წევრთათვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დროებით მიცემის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 16 სექტემბრის განკარგულების გაუქმების შესახებ" — დაუჭირა მხარი. მაშველთა კორპუსი იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებას დათანხმდა და... დაძაბულობაც მოიხსნა.

მართალია, საქმის კეთილად დამთავრება პირში ჩალაგამოვლებული მოსეირეთათვის ახალი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, მაგრამ ვინც რა უნდა თქვას, ერთი რამ კვლავ აშკარად დადასტურდა: ჯაბა იოსელიანისთვის საქართველოსა და ხალხის ინტერესები უპირველესია. რაც შეეხება პირადულს, ბატონმა ედუარდმა იმდღევანდელ პრესკონფერენციაზე მართებულად თქვა, თუ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვუგებთ, ამით საქართველო არ დაინგრევა, მაინც აშენდება, ჩვენ პრინციპულ საკითხებზე კონფლიქტი არ გვაქვს და არც ისეთი არაფერი ხდება, უბედურება რომ გამოიწვიოსო.

პარლამენტში შეიქმნა მაშველთა კორპუსისგან იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების სპეციალური კომისია (პარლამენტარ ომარ ელოშვილის თავმჯდომარეობით). იარაღი თავდაცვის სამინისტროს ჩაბარდება, კომისია თავდები იქნება, რომ იგი არ გაიბნეს. მაშველთა კორპუსის როლსა და ადგილს კი, სახელმწიფოს შესაძლებლობების ფარგლებში, მინისტრთა კაბინეტი განსაზღვრავს.

ვითომ, კიდევ გაბედავს ქურდული ლომებისთვის სახეში ღვინის შესხმას?

რუსუდან ლორთქიფანიძე.

გუშინ მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, რის შესახებაც ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში მოგითხრობთ.

მაშველთა კორპუსი თავდაცვის სამინისტროს საჩუქრად გადასცემს იარაღსა და მძიმე ტექნიკას

მაშველთა კორპუსის მიერ იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარებისადმი კონტროლის უზრუნველყოფის საქართველოს პარლამენტის კომისიას მაშველთა კორპუსის თავმჯდომარემ გოგა გელაშვილმა აცნობა, რომ ქართული არმიის მშენებლობის წარმატებით განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საჩუქრად გადასცემს საბრძოლო იარაღსა და მძიმე ტექნიკას. **საქინფორმი.**

წარდგენილია შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

ფერის მისანი

ნათელა იანქოშვილის მთავარ ღირსებად ორიგინალური სტილის შემუშავება მიმაჩნია. მის ნახატს ყოველთვის იცნობთ. მისეული ხელწერა უპირატესად შავში გადასულმა მწვანე და ლურჯი ფერების თავისებურმა ტონალობამ განაპირობა. ეს ფერადოვნება ნატიფია და ხავერდოვანი, პოეტური ბინდით დაბარდნილი, ამ ბინდიდან ამოდის სიჩუმისა და დავანების განწყობილება, ღამის პოეზია, ვნებისა და ინტელექტის ფილოსოფია. თუ ფერის ასოციაციას ვენდობით, იანქოშვილის ფერთა სამყაროს ფარშევანგის მეტაფორა მოუხდება („მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშევანგები"), ეს თოვა ჩუმი, რბილი და სიზმრისეულია.

მხატვარი განსაკუთრებით ძლიერია პორტრეტულ ფერწერაში. მის პორტრეტებში შუქ-ჩრდილები, ფერთა რეფლექსიები მხოლოდ მოდელის ფსიქოლოგიურ წაკითხვას ემსახურება. ნატურის გარეგნულ მსგავსებას ყოველთვის გადასწონის ხოლმე ავტორის შინაგანი ხედვით მოძიებული ფსიქოლოგიური უტყუარობა, ნატურის სულიერი კოლორიტი. მხატვრის საყვარელი ფერები სიმბოლურად გამოხატავენ მისი სულიერი ცხოვრების პროექციებს. იგი დინჯი, გონიერი, შინაგანად გაწონასწორებული ადამიანია. იანქოშვილმა ფერს სტილური მნიშვნელობა მიანიჭა. ამ ფერთა სამყაროს ვერ მიბაძავ, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მონურ იმიტაციასთან, ანდა გავლენასთან გვექნება.

იანქოშვილი, რა თქმა უნდა, რეალისტია, მაგრამ მისი რეალიზმი ამაღლებულია რომანტიკული სულით, თამამი პოეტური ხედვით, მიწიერ ხილვებს ოცნებისეული, სიზმრისეული ანაზუქი დასთამაშებს, ვნებებს ზნეობის შარავანდედი ასპეტაკებს. პორტრეტები ფრესკულია და უმალ კრძალულების, სიწმინდის განწყობილებას იწვევს. მისი პორტრეტები არ გამღვრევენ, არ გაფორიაქებენ, პირიქით, გამშვიდებენ, გესალბუნებიან, შემოდგომის წყნარი შეღამების ასოციაციებს გილვიძებენ.

იანქოშვილის ნამუშევრები არ გამოხატავენ შუადღის თაკარებას, გრძნობათა სიშიშვლეს ან პლაკატურობას, რამეთუ ამ ტილოებს არა მარტო ნიჭი ქმნიდა, არამედ ქალური კდემაც და პატიოსნებაც. მწვანე და ლურჯი ფერების ღამეულ ჩრდილებში უფრო ადვილია გულისნადების გამხელა, ვიდრე მზეზე, საჯაროდ. ღამის სავანეში პაემანის გულისფანცქალია ნავარაუდევი, დაპირების, აღქმის, საიდუმლოს გამხელის პოეზიაა დამალული.

ქართველ ხალხს, ქართულ ხელოვნებას შეუძლია იამაყოს იანქოშვილის შემოქმედებით. მისი ფუნჯის უბერებლობაში გვარწმუნებს ბოლოდროინდელი ტილოებიც, რომლებისთვისაც იგი რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი. პრემიაზე წარდგენის დროს იქნებ კიდეც დაიგვიანა, მაგრამ პატიოსანი, წმინდა ხელოვანისათვის ესეც ნიშნეულია.

შოთა ნიშნიანიძე.

თორმეტი ახალი ტილო

თანამედროვეობის დიდი ფერმწერი, პორტრეტისტი და პეიზაჟისტი ქალბატონი ნათელა იანქოშვილი, კონტრასტული ფერების ელვარებით უმალ რომ გტაცებთ თვალს და თქვენს ყურადღებას მთლიანად იპყრობს, თავისი ჯადოსნური ფუნჯით ერთხელ კიდევ მიბრუნებია მშობლიურ ხანახებს, ძველ ციხე-სიმაგრეთა ათასწლეულებში შემორჩენილ ნანგრევებს თუ ჩვენს დროშიც უვნებლად მდგომ ძეგლებს და ეს ყოველივე ტილოზე ჩვეული მღელვარებით გადმოუტანია.

ბოლო სამი წლის 12 ნაწარმოები, რომლებიც შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად არის წარდგენილი, აგრძელებს შემოქმედებითი აღმოჩენების იმ დაუსრულებელ მწკრივს, რითაც მხატვარმა კარგა ხანია ხელოვნების, კერძოდ, ფერწერის მოყვარული და დამფასებელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ახალი ქმნილებები — „ვარძია", „წყაროსთავი", „ხერთვისი", „დმანისი", „დავით გარეჯი", პორტრეტები — „თამარ მეფე ლომით", „ფიროსმანი, მირზაანის მონატრება", „თამრიკო მესხი" და სამიც პეიზაჟი, შეიძლება ითქვას, ახალი შედევრებია, რითაც ნათელა იანქოშვილმა მშობლიური მხატვრობა გაამდიდრა. თორმეტივე ტილოს ნათელა იანქოშვილის ტალანტის თავისებურების დამღა აზის. მათ თუნდაც ათასობით მხატვრის ნამუშევრებში გამოარჩევ!

იანქოშვილი თავისებურად უდგება როგორც პორტრეტის, ისე პეიზაჟის ჟანრში მუშაობას. ის არ მისდევს დეტალებს. სურათში გადმოცემულია უმთავრესი, მთლიანი შთაბეჭდილება, არსი, არსთა არსი. მხატვარი არასოდეს არ დგას დასახატად არჩეული ნატურის წინ და არ ცდილობს ხაზითა და ფერის საშუალებით მის გამეორებას. მხოლოდ მცირე ჩანახატის გაკეთებით კმაყოფილდება, არქიმედი საყრდენ წერტილს რომ ეძახდა და ამაზე აშენებს ახალ სინამდვილეს, რომელიც შემოქმედის სულის ანარეკლია, არსში წვდომაა, ფილოსოფიური წიაღსვლაა.

ნათელა იანქოშვილის პეიზაჟი, მათ შორის აქ წარმოდგენილიც, დამუხტულია დრამატიზმით და ამავე დროს პოეტური სინაზით, რასაც მხატვარი ფერთა კონტრასტული შეხამებით აღწევს. უყურებ და სული გიგუბდება, განცვიფრება გიპყრობს. რა ხდება? რა არის ამას იქით?

ფონი ყველგან შავია და სიცოცხლე ამ ფონზე იხატება, რაც მხატვრის მსოფლმხედველობას ანტიკურ ტრაგედიასთან ანათესავებს. ამიტომაც ნათელა იანქოშვილის სურათებით დაფარულ ოთხკედელშუა რომ ექცევი, ბედისწერის გარდუვალობის გრძნობა გეუფლება. მაგრამ სიცოცხლე მშვენიერია! ის ადიდებული ნაკადულის, გაზაფხულის მაუწყებელი ნორჩი სიმწვანით, ზეგარდმო სხივით განათებული სილამაზის სახით იჭრება წყვდიადში და მას მარადიულ აზრს ანიჭებს.

მე მომხიბლა იანქოშვილის ახალმა ნამუშევრებმა, ისევე როგორც მხიბლავს მთელი მისი შემოქმედება, რომელიც სრულიად განცალკევებით, მარტოსულად დგას ქართულ მხატვრობაში და არავითარ განმეორებას არ ექვემდებარება. ჩვენ, თანამედროვენი, ვალდებული ვართ, კუთვნილი მივუზღოთ მას, დავინახოთ და ვაღიაროთ!

რევაზ ჯაფარიძე.





პოეზია უპირველეს ყოვლისა

ჯანო ჯანელიძე

ბოშა ქალები

ეს იყო წინათ,
ეს იყო წინათ,
მზით გარუჯული ფეხშიშველა ბოშა ქალები
მოადგებოდნენ დედაჩემს კარზე,
მარჩიელიო! — იძახდნენ ასე
და საოცარი სუსტი ხელებით
აღებდნენ ჭიშკარს.
როგორც ჩრდილები, დასხდებოდნენ სახლის კიბეზე
და ჯადოსნური სუსტი ხელებით
გაშლიდნენ კარტს და
ნაღვლიანი შავი თვალებით
უცქერდნენ დიდხანს.
...და დამტვრეული რუსულ-ქართულით
იწყებდნენ ასე:
— შენ კაი ქალი,
შენ კაი გული
მაგრამ გაწუხებს დარდი ძალიან.
ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი
ავი თვალის და ომის ბრალია...
და როს ხედავდნენ უკაცო ოჯახს,
დასძენდნენ ასე:
— შენი კაცები შინ არ არიან.
თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო,
მომეცი ფული, გაგიხსნა გული,
თუ გინდა, მეტი რომ გითხრა, ქალო,
მომეცი პური, მშია ძალიან!
და რადგან დედას არ ჰქონდა ფული
და რადგან დედას არ ჰქონდა პური,
ნატეხს მჭადისას აძლევდა ბოშებს.
...და იწყებოდა ისევ თავიდან:
— შენ კაი ქალი,
შენ კაი გული,
მაგრამ გაწუხებს დარდი ძალიან,
ეს ყველაფერი,
ეს ყველაფერი
ავი თვალის და ომის ბრალია,
შენი კაცები მართალი გითხრა
(და ბოშა განზე ფიქრობდა დიდხანს),
შენი კაცები შინ არ არიან,
მომეცი ფული გაგიხსნა გული,
თუ გინდა, გითხრა, როგორ არიან.
...და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
ცნობისმოყვარე,
და დედაჩემიც, ვით ყველა ქალი,
რჩევისმოყვარე,
შავი დღისათვის შენახულ გროშებს
აძლევდა ბოშებს.
...და იწყებოდა ისევ თავიდან...
და ასე, ხშირად, ბოშა ქალები
სახელდახელოდ მოგონილ სიბრძნეს
აქცევდნენ მჭადად,
ჰყიდიდნენ გროშად
და ნაღვლიანი შავი თვალებით
გვტოვებდნენ ჩვენ და ფეხშიშველები
მიაბიჯებდნენ შორეულ გზებზე
...და უტოვებდნენ დედაჩემს იმედს.
იმ დღეთა შემდეგ,
იმ დღეთა შემდეგ,
ჰოი, გასულა რამდენი წელი
იმედით სავსე,
წუხილით სავსე,
ლოდინით სავსე,
მაგრამ არ ჩანან ჩვენი კაცები,
შემორჩენილან შორეულ გზაზე,
ბოშა ქალებო, ნეტავ თქვენ მაინც სად დაიკარგეთ?!..
მოდით, გაშალეთ გაცრეცილი კარტები ისევ,
მოდით, დათესეთ იმედი ისევ,
მოდით, გრძელდება ლოდინი ისევ.

1966 წელი, სოხუმი.

მოლოდინი

„ბოშა ქალების" დაწერის 30 წლის შემდეგ

ორმოცდაათი წელი გავიდა
ორმოცდაათი წელი ლოდინის,
და მე ყოველ წელს ვიწყებ თავიდან
ცხოვრებას მძიმე სასინჯ ლოდივით.
ფრონტზე წასული კი არ ჩანს შვილი
და მომლოდინე დედაც არა ჩანს.
ჭის ოწინარი კი ისევ ტირის
და ჯარისკაცის როგორც ფარაჯა,
ირხევა ჭასთან ალვისხის ჩრდილი,
ბოშა ქალებიც არ ჩანან არსად
და ისე, როგორც უჩინმაჩინი,
მხოლოდღა ხსოვნა დიდების ფასად
შემომრჩა ისე, ვით ღია კარი
და უხილავი ისე, ვით განძი,
უკაცო სახლის გატეხილ კრამიტს
კი განუწყვეტლივ აწვიმს და აწვიმს.
ბოშა ქალებო, ნეტავ თქვენ მაინც
სად დაიკარგეთ, სადა ხართ, სადა?!
...და სოფლის შუკას მიჰყვება ქარი,
ბოშა ქალივით ანჩხლი და სადა...

5. 05. 95 წ. თბილისი.

არც ერთი შეკითხვა — უპასუხოდ!

ამ ცოტა ხნის წინ მსოფლიო შეაძრწუნა ტოკიოს მეტროში მოწყობილმა ტერორისტულმა აქტმა, რომელმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. გთხოვთ, გვიამბოთ, რას წარმოადგენს, რა მიზანს ისახავს ეს რელიგიური სექტა— „აუმ სინრიკიო" და სხვა, უკანასკნელ ხანს ასე მომრავლებული სექტები.

ვლ. ქუთათელაძე, თბილისი.

აპოკალიფსის მოლოდინში

„ნიუსუიკი", ნიუ-იორკი.

„აუმ სინრიკიოს" ლიდერს შოკო ასახარას, მისი სიტყვებით, სულიერი კავშირი აქვს სხვა სამყაროებთან. ის ამტკიცებს, რომ თავისი ადრინდელი სიცოცხლეების დროს მეუფეობდა „ზეცას", საიდანაც ჩვენთან გამოუცნობი მფრინავი ობიექტები მოდიან. ასახარამ გამოაცხადა, რომ აპირებს „ასტრალური საავადმყოფოების" შექმნას, რომლებშიც გამოყენებული იქნება „ასტრალური სამყაროს ასტრალური მედიცინა". სხვა სამყარო კი, რომელიც აკვიატებული აზრივით არ ტოვებს მის გონებას, ეს არის განკითხვის დღის შემდგომი დროის სამყარო. თავის გამოსვლებსა და ქადაგებებში ასახარა აფრთხილებს თავისი სექტის „აუმ სინრიკიოს" მიმდევრებს: მეორედ მოსვლის დღეს იგი, როგორც ადვოკატი, დაიცავს მათ, მაგრამ მათ გადარჩენას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს, თუ ისინი გაამყარებენ თავიანთ ერთგულებას მისი მოძღვრებისადმი.

ასახარა, რა თქმა უნდა, უარყოფს თავის თანამონაწილეობას ტოკიოს მეტროში ახლახან მოწყობილ ტერაქტში, სადაც გამოყენებული იქნა მომწამვლელი გაზი. მაგრამ, ის ხომ პირველი არ არის აპოკალიფსის მქადაგებელთა შორის, ნებისმიერი საშუალებით რომ ცდილობს თავისი სიმართლის დამტკიცებას. გავიხსენოთ შვეიცარიული სექტა „მზის ტაძრის" წევრთა მასობრივი თვითმკვლელობა 1994 წელს... ეს მხოლოდ ერთი მაგალითია ახლო ხანებისა, როცა „ათასწლეულთა" (იმ იდეის მომხრეები, რომ აპოკალიფსი უნდა მოხდეს ათასწლეულის დამლევს) ლიდერს თავისი სამწყსო თვითგანადგურებისაკენ მიჰყავს. სავსებით დასაშვებია, რომ გაზის გამოყენება ტოკიოში წარმოადგენს ახალ მიმართულებას — მასირებულ იერიშს „ურწმუნოთა" წინააღმდეგ, და არა ერთმორწმუნეთა მსხვერპლად შეწირვას.

უკვე კარგა ხანია რელიგიური სექტების მკვლევარები ელიან ძალადობითი ქმედებებისაკენ შემობრუნებას. 1993 წელს ტერორიზმის ექსპერტი ბრიუს ჰოფმანი წერდა, რომ რელიგიური ფანატიკოსები პირველები გამოიყენებენ მასობრივი მოსპობის იარაღს.

იმ ტერორისტული ჯგუფების რაოდენობა, რომელთაც ამოძრავებს უფრო მეტად რელიგიური და არა პოლიტიკური მოსაზრებები, გამუდმებით იზრდება მსოფლიოში. 1968 წლამდე არ იყო არც ერთი ტერორისტული ჯგუფი, რომელსაც დასაბამიდანვე რელიგიური ფესვები ჰქონებოდა. ახლა კი მათი რიცხვი ერთ დუჟინს აღემატება — დაწყებული ქრისტიანი თეთრი სიუპრემატისტებით და დამთავრებული ებრაული მესიანური სექტებით, რადიკალი სიკჰებით და მუსლიმანი ფუნდამენტალისტებით, ამბობს ჰოფმანი, რელიგიური ფანატიკოსები, განაგრძობს ის, არ წვრილმანდებიან ცალკეული პოლიტიკური დარტყმების მიყენებით. მათ სხვა მასშტაბები აქვთ: პირისაგან მიწისა აღგავონ მტრების დიდი ჯგუფები. ცნობილია შემთხვევები, როდესაც რელიგიური ბანდიტები ექსპერიმენტებს ატარებდნენ ქიმიურ და ბიოლოგიურ საჭეობათა იარაღზე. მაგალითად, 1984 წელს ეგრეთ წოდებულ ორეგონის კომუნის წევრები, რომელსაც ბჰაგვან შრი რაჯნეში მეთაურობდა, დააპატიმრეს, როცა ადგილობრივ სასაუზმეებში ცდილობდნენ სალმონელის ბაქტერიების შეტანას და იქ მომზადებული საჭმლის დასნებოვნებას. და, ალბათ, მდგომარეობის სერიოზულობის ყველაზე დიდი შეხსენება (ტოკიოს ამბებამდე) იყო აფეთქება საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში, ნიუ-იორკში, 1993 წელს. მაშინ მუსლიმან შეთქმულთა ჯგუფმა ააფეთქა ბომბი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, გატენილი იყო ციანმჟავას მარილით, რათა საწამლავი მთელ შენობას მოსდებოდა.

„ათასწლოვანები", იქნებ სხვაზე მეტად, მზად არიან მოაწყონ ამგვარი დამანგრეველი აქციები, ვინაიდან სჯერათ, რომ ომის ქარცეცხლში ან სტიქიური უბედურების დროს დაღუპვა მათ უეჭველად გაუხსნის სამოთხის კარს.

„ყველა კულტს ახასიათებს დაუყოვნებლივი მოქმედების გრძნობა, — ამბობს ნიუ-იორკში არსებული რელიგიური აღზრდის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი მარსია რუდინი. — მაგრამ, თუ მათ „ათასწლოვანები" მიუძღვიან, ეს ნამდვილად ზრდის იმის საშიშროებას და შესაძლებლობებს, რომ რაღაც საშინელება მოხდება.

XIX საუკუნეში, შეერთებულ შტატებში მართლაც რომ გაიფურჩქნა სექტები, რომლებიც სამყაროს დასასრულს ქადაგებენ და მათ დღეს საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავთ რელიგიურ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთმა მათგანმა ჩვენს თვალწინ შეწყვიტა არსებობა ძალადობის გზით: 1978 წელს, გაიანაში, ჯიმი ჯონსმა მასობრივი თვითმკვლელობისკენ გაიყოლია თავისი მიმდევრები. რამდენიმე წლის შემდეგ კი დევიდ კორეშმა საკუთარი თავიც და თავისი სექტა „დავითის შტოც" სამსხვერპლოზე მიიტანა ტეხასის შტატის ვაკოს ფედერალურ პოლიციასთან შეიარაღებული შეტაკების შემდეგ.

ყველაზე უკიდურესი მიმართულების სექტები ხელმძღვანელობის ავტორიტარულ სტილს მისდევენ, მათ იზოლირებული ჰყავთ თავიანთი მიმდევრები, იყენებენ სხვადასხვა სახის გამოცდებს მათი ღვთისმოსაობისა და გამძლეობის დონის დასადგენად. ეს მეტად ეფექტიანი საშუალებაა ცნობიერების მანიპულირებისათვის, — ამბობს რი კროსი, რომელიც ეწევა კულტთა ბადეებში გახლართული შვილების მშობლთა „დეპროგრამირებას". ასახარას ერთ-ერთი ხელქვეითი მისი ამერიკელი თანამიმდევრებიდან, კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი დევიდ ბაუერი დაჟინებით ამტკიცებს: „ასახარა არ ამბობს "ემზადე სიკვდილისათვის", ის ამბობს „ემზადე სასიკვდილოდ", ეს კი ერთი და იგივე როდია". ბაუერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასახარამ იაპონიაში ააგო ბირთვული ბომბების აფეთქებაზე გაანგარიშებული თავშესაფრები. „ჩვენ ვაპირებთ გადავრჩეთ" — ამტკიცებს იგი.

„აუმ"-ი 1980-იანი წლების დამლევს გამოჩნდა, როცა ახალი რელიგიური სექტები და კულტები იაპონიაში ისე ჩნდებოდნენ, როგორც სოკოები ნაწვიმარზე: ასამდე სექტა წელიწადში. ახლა ქვეყანაში 180 ათასზე მეტი რელიგიური დაჯგუფება ითვლება. ისინი აფართოებენ ალტერნატიულ არჩევანს, ადრე რომ სინტოიზმითა და ბუდიზმით იყო შემოფარგლული, აგრეთვე ეგრეთ წოდებული ახალი რელიგიებით, როგორიც არის „ნიტირენ სოსუ ბუდიზმი", რომელიც ომამდელი წლებიდან არსებობს, ახლა კი იაპონიის უდიდესი ბუდისტური სექტა გახდა. ამ სექტის წევრები მისდევენ XIII საუკუნეში მცხოვრები ბერის ნიტირენის მოძღვრებას და გულაჩუყებით მღერიან სუტრა „ლოტოსს" — ბუდიზმის ერთ-ერთ უმთავრეს სუტრას. მათი ძირითადი ორგანიზაცია „სოკა გაკაი" გადაიქცა უძლიერეს ლობისტურ ორგანიზაციად, რომელსაც 8 მილიონი წევრი ჰყავს თვით იაპონიაში და 1,3 მილიონი — სხვა ქვეყნებში. მას უდიდესი ფინანსური შესაძლებლობანი აქვს საგამომცემლო საქმიანობის შედეგად, ფლობს აგრეთვე დიდ ადგილ-მამულებს.

1980-იან წლებში აღმოცენებული ჯგუფები არანაირად არ შეედრება უფრო ძველ „ახალ რელიგიებს", ისეთებს, როგორიც არის „ნიტირენ სოსუ" და მისი განშტოებები. უფრო მრისხანედ, ისიც მხოლოდ გარეგნულად, შეიძლება ჩაითვალოს „ათასწლოვანთა" ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა „ადამიანური ბედნიერების მეცნიერება", რომელიც აქვეყნებს „ნოსტრადამუსის საზარელი ზეშთაგონების" მსგავს წიგნებს. ბევრი იაპონელი მშობელი უკვე დასახმარებლად უხმობს „დეპროგრამისტებს", რათა დაიხსნან თავიანთი პირმშოები ისეთი დაჯგუფებებისაგან, რომლებსაც ბრალად ედებათ მაღალეფექტიანი ტაქტიკის გამოყენება ახალ წევრთა გამოსაჭერად. ამასვე სდებენ ბრალად „აუმ სინრიკიოს" და მისი მაღალღირსება მუნის „გაერთიანებულ ეკლესიას". 1986 წელს ცხრა ქალმა — „ცხოვრების წრის მეგობართა" სექტის წევრებმა — სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს იმის იმედით, რომ თავიანთ კარგახნის გარდაცვლილ ლიდერს გაჰყოლოდნენ.

„ათასწლოვანთა" ჯგუფების აქტიურობა შესაძლოა გაძლიერდეს 2000 წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, ამბობს ჰალ მენსფილდი, ექსპერტი ალტერნატიულ რელიგიათა საკითხში. „ამ ჯგუფებისაგან ყველაფერს უნდა ველოდოთ, — ამტკიცებს იგი. — ისინი მზად არიან ნებისმიერი ახალი ტექნოლოგიის გამოსაყენებლად". მაგრამ „ათასწლოვანთა" თითოეული ჯგუფის გამოკვლევა წარმოუდგენელია (მარტო შეერთებულ შტატებში მათი რიცხვი 1100-ს აღემატება). და, მაინც, ხელისუფლებას უფრო მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე მოქმედებდეს პრინციპით „დავიცადოთ, ვნახოთ". დაცდის დრო ხომ არც ისე ბევრი დარჩა...

ტკივილიანი რეპორტაჟი

ლოდინის შსახრელობა

დედა...

დედა ერთადერთი და განუმეორებელია, მის მაგივრობას ვერავინ გაგვიწევს, რაოდენ ახლობელი ადამიანიც უნდა იყოს ჩვენთვის...

ამ ფოტოებზე გამოსახული უმრავლესობისათვის კი (რომლებიც ჩვენმა რეპორტიორმა წყნეთის უდედმამო ბავშვთა სახლში აღბეჭდა ფირზე) უცხოა სიტყვა — დედა. წაქცეულებს და ატირებულებს ისე, ყასიდად წამოსცდებათ ხოლმე „ვაიმე დედა"-ო და იმ წუთში ვინც წამოაყენებს და ნუგეშის ნიშნად თავზე ხელს გადაუსვამს, ის ჰგონიათ დედა. ვინც კანფეტს გაუწვდის, მასაც დედას უძახიან. ერთი სიტყვით, ამ ლამაზმა სიტყვამ დაკარგა მათში მნიშვნელობა — გაურკვეველ ტრაფარეტად და ტკივილიანი ლოდინის სიმბოლოდ იქცა.

გაუსაძლისი გახდა მათთვის ლოდინი. საკმარისია ეზოში უცხო ადამიანმა შეაბიჯოს და წამსვე იმედის სხივი გაიბრწყინებს პატარების თვალებში:

„ჩემი დედიკო მოვიდა",
„არა, ჩემი დედიკოა".
„ხო ჩემი დედიკო ხარ?"...

გაურკვევლობაში ჩავარდნილი სტუმრები ცდილობენ, ყველას ერთნაირად გაუნაწილონ გულის სითბო და საჩუქრები.

პატარები გულისყურით უსმენენ აღმზრდელების მონაყოლ ზღაპრებს. სიახლეს ელიან, იქნებ რაიმე შეიტყონ დედების შესახებ. ერთი იმედგაცრუება, მეორე, მესამე... და კვლავ მათი — ლოდინისაგან დატანჯული თვალები...

მარიკა ცხოვრებაშვილი.

თედო ნიკოლაიშვილი (ფოტო).

სიმართლის მთქმელი აპადმყოფობით არ კვდება

წინასაარჩევნო ფელეტონი

> თესლი თუ არ ჩაყარე მიწაში, მოსავალს ვერ მოიმკი, სიცოცხლე სასწორზე თუ არ დადე, მტერს ვერ მოერევი.
>
> საადი.

მართალს ეტყვის ხელისუფლება? არასოდეს! ტყუილიაო, იტყვის. არ არის მართალი, მაგალითად, მტკიცება ადამიანის მოტაცების შესახებ მისი ჯანმრთელი შინაგანი ორგანოების ამოკვეთისა იგივე, მაგრამ დაავადებული ორგანოების პატრონებისათვის დიდ ფულად ტრანსპლანტაციის მიზნით.

არ არსებობსო, განაცხადებს, ჩვენთან ასეთი ფიზიორეკეტი: მოდის და მოიმღერის, ვთქვათ, ჯანმრთელი კაცი ქუჩაში და უხარია, რომ არაფერი სტკივა და ფულიც არა აქვს. მიუახლოვდება მას შავნიღბიანი, უცნობი პირი და ეტყვის: — შემიძლია პირიქით.

— რას ნიშნავს პირიქით?

— მოგცემ იმას, რაც არა გაქვს, წავილებ იმას, რაც გაქვს. ბიზნესს ნიშნავს „პირიქით": შენი ღვიძლი — მე, ჩემი ფული — შენ.

არჩევანი — არადანი.

თუმცა ასარჩევი არაფერია, რადგან მეთოდი არის უტყუარი: უარს იტყვის კაცი, რომელიც ქუჩაში პირველი მიდიოდა, მეორე კაცი, რომელიც მიუახლოვდა, ძალით წაართმევს — ნარკოზით, ან უნარკოზოდ ამოკვეთს და მორჩა! დარჩება თუ არა ამის შემდეგ პირველი ცოცხალი, კერძო დეტალია და მეთოდის სრულყოფილობაზე უარყოფითად ვერ მოქმედებს.

რატომ გავიხსენე შავი სამყაროს ეს ნათელი მიღწევა?

მოთმინება, კნიაზ-ჯან, მოთმინება...

• • •

ჩვენს ძვირფას მკითხველს, ალბათ, ახსოვს, რომ ერთი თვის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საგანგაშო და სამწუხარო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ცნობილი ბიზნესმენი და ოთარ ხუციშვილის მუდმივი პარტნიორი პლატონის დიალოგებში „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე ვანო (ივანე) ოქროწონაშვილი გაქრა.

გავიდა სახლიდან და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ დაბრუნებულა.

რა ვერსიები არ დაამუშავა პოლიციამ! ან — ვერსიები არ დაამუშავა პოლიციამ ისევე, როგორც არავინ არ გამოეხმაურა ჩვენს საგაზეთო კივილს პირველ ხმაში: — დიდი კაცი დაგვეკარგა, წითელპერანგა! ან ავლილი, ან ჩავლილი ხომ არ გინახავთ?

არავინ მოგვაშველა მეორე ხმა. ან, იქნებ, მართლა არა აქვთ სმენა?

ასე თუ ისე, კიდევ ერთხელ (ექსპერიმენტში) დამტკიცდა, რომ დაკარგულის გადარჩენა დაკარგულისავე მარჯვენის საქმეა.

საქმე ჩვენ გაგვიჩნდა და ტვინის ჭყლეტა: იქნებ ფულის გამოძალვის ბანალური მიზნით გაიტაცეს ცნობილი ბიზნესმენი, ან პოლიტიკური მოტივებით მოაკვლევინეს? მოგეხსენებათ, რომ ბატონმა ვანომ ახალი პოლიტიკური მოძრაობა დააარსა — „ჰუმანიტარული ტვირთების პარტია" და წინასაარჩევნო მარათონში ჩაება. მისმა პოლიტმტრებმა კარგად უწყიან ოქროწონაშვილის პოლიტწონის ამბავი და თავიდან მოიცილეს საქართველოს პოლიტსარბიელზე გავრცელებული ხერხით.

მიხვდით, არა?

ვანო, პარდონ, ბატონი ვანო, ფიზიორეკეტიორებმა გაიტაცეს მის შინაგან და გარეგან ორგანოთაგან უძვირფასესის, ე. წ. ტვინის ამოკვეთისა და გადანერგვის მიზნით, რომელიც ასე აკლია (სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ) ბიზნესსა თუ პოლიტიკაში ფეხჩადგმულ მშობლიურ მაფიას.

თქვენ ხომ გგონიათ, რომ მიხვედით!

არ დაგიმალავთ, ჩვენც ასე გვეგონა გუშინდლამდე.

გუშინ რედაქციაში, როგორც ვწერთ ხოლმე, გვეწვია ახალი პარტიის თავმჯდომარის ვიცე-სპიკერი, პოლიტმდივანი და წინასაარჩევნო კამპანიის ბიუროს გამგე-გამყიდველი ბატონი კოკროჰინა.

მან თქვა...

• • •

ბატონმა კოკროჰინამ თქვა:

— ჭორების ბულბულებმა ქალაქში ხმა დააგდეს, ბატონი ვანო ოქროწონაშვილი საზღვარგარეთ, საკუთარ ვილაში გენერალური პროკურორის სახელზე აღსარებას წერს იმის შესახებ, თუ ვისი დახმარებით მიიღო კრედიტი და როგორ გაფცქვნა სახელმწიფო სალარო. გვარებსაც ასახელებსო. ტყუილია!

— იმის გამო, — ესეც კოკროჰინამ თქვა, — რომ დავიცვა ჩემი შეფი და პატრონი ბინძური ჭორებისაგან, იძულებული ვარ ფარდა ავხადო პოლიტიკური ბრძოლის სენსაციურ მეთოდს, რომელსაც აქამდე საიდუმლოდ ვინახავდით მე და პარტიის ლიდერი.

და კოკროჰინა მოჰყვა:

დაიწყო არჩევნებისათვის მზადება, ანუ ბრძოლა ამომრჩევლებისათვის, ბატონმა ვანო ოქროწონაშვილმა ასე განსაჯა: საჭიროა ორიგინალური ხერხით ხალხის მომხრობაო.

როგორით?

უნდა მონატრო ხალხს თავი!

ზოგიერთი, ბატონო, სულ ტელევიზორში თავგამოყოფილი ხომ არის? არის. სამუშაო თათბირი არ ჩაუტარებია გადამღები ჯგუფის გარეშე: შემხედეთ, როგორ ვიწვი ხალხის სამსახურშიო! ესენი საკუთარი თავის მტრები არიან. ღმერთმანი, რამეთუ არ უწყიან მაყურებლის რეაქცია ამისა გამო.

პირველ პირებზე არაფერს ვამბობ, არც იმ სტუმრიანობაზე, რომელიც დიპლომატიური ეტიკეტით უეჭველად უნდა გამოჩნდეს ეკრანსა და პრესაში. ამდენი კი ვიცით! მაგრამ — ამ ვიცემ ესა თქვა, იმ ვიცემ ასე დაარიგა ხალხს ჭკუაო, ეს განაცხადა, ან იმას განაცხადებსო, დღეში ერთხელ და რამდენჯერმე ვერ მოვისმენ, კალმისა და კამერის დიდოსტატო ფელინი!

აი, ასეთი ხშირადმოვლინების ალტერნატიული არმოვლენების მეთოდით აღიჭურვა ბატონი ვანო, ჰუმანიტარული ტვირთების პარტიის ლიდერი და დაიკარგა როგორც სინდისი ჩვენს ქვეყანაში.

ხომ გადაირევა ხალხი! გადაირევა და მასობრივი, პერმანენტული, ჩემი შენ გითხარი შიმშილობას დაიწყებს პარლამენტის საფეხურებზე წამოწოლილი სფინქსის პოზაში: ხელისუფლებამ ან ვანო მონახოს, ან, რა თქმა უნდა, გადადგეს!

ამ მომენტით ისარგებლებს მომავალი დეპუტატი და მოგვევლინება. მოგვევლინება და, როგორც დაბარებული, ავირჩევთ.

ჰიდრომეტსამსახურის სპეციალისტების გაანგარიშებით გაზაფხულის ხანმოკლე, მაგრამ კოკისპირულმა წვიმებმა ნიადაგი გაჟღინთა პოლიტიკური აქტივობის მძლავრი იმპულსებით, რასაც მოჰყვა პარლამენტის ამფითეატრში გლადიატორთა მაღალზნეობრივი ღია გაკვეთილი 16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის სასმენად და საცქერად აკრძალულ თემაზე „4-5 მაისის წვიმით მთვრალი".

ამ ორ დღეში ღრუბელიც გადაიყარა და მაშველთა კორპუსმაც თავისი ნებით აიყარა იარაღი. მაგრამ ამის გაკეთებას აუცილებლად დაჭირდა იმის დაფიქსირება, რომ იოსელიანი არ არის შევარდნაძის მეგობარი.

იმაშიც გაგვარკვიეს, რომ პირიქითაც ასეა.

ახლა, კახური ფოლკლორის მარგალიტების საჯაროდ ციტირების შემდეგ, უკვე დაბეჯითებით ვიცით, რომ „შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლება" არ არსებულა. ოპოზიციამ დედა დაიფიცა (არა „დედიკო"), რომ ჩვენ არა ვართო ხელისუფლება, ხოლო უმრავლესობა თვისებრიობაში გადაიზარდა.

მაშასადამე, რახან ჩვენთან კონკრეტულად არავისი ხელისუფლება არ არსებულა, საქართველოში ყოფილა ნამდვილი დემოკრატია.

ეს თვითნაბადი ხალხის ხელისუფლება ანარქიაში რომ არ გადაიზარდოს, ბატონი ვანო თავს გადადებს და მოვა ხელისუფლებაში.

— როგორ მოვა, უკვე გითხარით, — თქვა დასასრულ ჰუმანიტარული ტვირთების პარტიის ლიდერის პრესსამსახურის ვიცე-პრემიერმა კოკროჰინამ.

• • •

გაბედულს წარმატება დაეწევაო.

ვანო ოქროწონაშვილმა გაბედა და ახლა ზის და ელოდება, რომ წარმატება დაეწიოს.

აღმოსავლური სიბრძნე ამბობს: იჩქარე, კეთილი სიტყვით გაახარო შემხვედრი, იქნებ, ვეღარასოდეს ნახოო ეს კაცი.

ვიჩქარი, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ვცხოვრობთ...

ალთა ბალთიძე.

ყველაფერი, რაც ზემოთ წაიკითხეთ, უკვე დაწერილიც იყო და აწყობილიც, აგრეთვე დაკაბადონებული, რომ ახალი ცნობა მივიღეთ: კოკროჰინა დაიკარგა! უკანასკნელად მინისტრთა კაბინეტიდან გასული უნახავთ.

ამბობენ, თითქოს საზღვარგარეთ გადასულა, არალეგალურად, კუპონზე იჯარით აუღია კარავი (шалаш) რაზლივში და თევზაობის შემდეგ ფელიქს ედმუნდის ძისა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის მოლოდინში კუნძზე ჩამომჯდარი მუხლებზე წერს ცნობილ „აპრილის თეზისებს", რომლებსაც მაისში გამოაქვეყნებს საქართველოში გამომავალ ყოველდღიურ გაზეთ „ევერესტში".

— რახაა, რომ ამბობ, შე კაცო!

ა. ბ.



ამომრჩევლის გასაჭირი.

ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.

ჩოგანი

„სამტრედია" — ჩემპიონი?!

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის 27-ე ტურის შემდეგ ოქროს მედლებისათვის დავაში „სამტრედიის" უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა და ძნელი საფიქრებელია, რომ ხურცილავას გუნდმა დარჩენილ სამ მატჩში ასეთი შანსი ხელიდან გაუშვას. გთავაზობთ ამ დღეს გამართული ზოგიერთი შეხვედრის შედეგს: „ზუგდიდი"-„დინამო" 2:2, „დილა"-„სამტრედია" 0:1, „მეტალურგი"-„კოლხეთი" 6:1, „საპოვნელა"-„კახეთი" 2:1, „სამგურალი"-„დურუჯი" 2:0.

„სამტრედია" — 70, „დინამო"— 66, „კოლხეთი" — 57 ქულა.

დღეს ფოთში გაიმართება „კოლხეთი"-„დინამოს" გამოტოვებული ორთაბრძოლა.

ამჯერად სარაგოსას „რეალი"

სარაგოსას „რეალმა" თასების მფლობელთა თასი მოიპოვა. პარიზის „პარკ დე პრენსის" სტადიონზე გამართული ფინალური მატჩი ესპანელმა ფეხბურთელებმა დამატებით დროში ანგარიშით 2:1 მოუგეს ამ საპატიო პრიზის შარშანდელ მფლობელს — ლონდონის „არსენალს".

იჩქარეთ, მსურველებო!

3-4 ივნისს საქართველოს ტაიბოქსისა და კიკბოქსინგის ფედერაცია (პრეზიდენტი — საბრძოლო ხელოვნების ცნობილი კლუბის „ჯიქი-90"-ის ხელმძღვანელი გოჩა ჯავახია) ატარებს რესპუბლიკის პირველობას კიკბოქსინგში 12-დან 16-18 წლამდე და უფროსი ასაკის სპორტსმენებში. განაცხადები მსურველებისაგან მიიღება 19 მაისამდე. შესარჩევი შეხვედრები გაიმართება 20-21 მაისს. მისამართი: ჯორჯიაშვილის 14, მეორე სართული, გ. ჯავახია, ტელეფონი: 98-61-37, 31-02-70, 39-77-11.

მაშველთა კორპუსს არავინ ებრძვის

ალბათ, არც ერთ, მათ შორის, დმანისისა და ოზურგეთის ოპერაციებსაც არ გამოუწვევია, ბოლოდროინდელი, კახეთის ოპერაციის ფართო ხმაური და აჟიოტაჟი.

საზოგადოებრივი აზრი კვლავ დაიყო, დანაწევრდა. ვინ მიესალმა ოპერაციას, ვინ ლომივით აიფოფრა.

— რატომ ფიქრობენ, რომ ღონისძიება კახეთის მაშველთა კორპუსის, ან სხვა შეიარაღებული ფორმირების, ან რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ იყო მიმართული?! — გაკვირვებით კითხულობს შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება „უდაბნო-95"-ის შტაბის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი **უშანგი მგელაძე**. — რეგიონში 250 ძებნილი დამნაშავე იყო. ურთულესი კრიმინოგენული მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა ხალხს. ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა-გლეჯა... ამასთან, მხოლოდ იმ მოტივით, რომ კაცი მხედრიონელია, ქვეყანამ იცის, არავინ დაგვიკავებიაო. უმრავლესობას უმძიმესი დანაშაულობების ჩადენაში ედება ბრალი. უამრავ იარაღს ფლობდნენ, რომელსაც უმიზნოდ, უკანონოდ იყენებდნენ; არაადამიანური სისასტიკით უსწორდებოდნენ ერთმანეთს, მოსახლეობას!...

თელავსა და თელავის რაიონში იმდენი თოხი და ბარი არ არის, რამდენიც თოფ-იარაღია!.. მთელი თეატრი არ ეყო, მის განთავსებას!

როგორ ფიქრობთ, თავისუფლად უნდა დაპარპაშებდეს კაცი, კახეთის პოლიციის რეგიონულ სამმართველოს რომ დაესხა თავს; ორი კაცი რომ მოკლა; სახლში იარაღის არსენალი რომ მოაწყო; 265 ცხვარი რომ მოიტაცა; იყაჩაღა, იქურდა, თავსაც უმუხთლა და ხალხსაც?!.

რამდენი ქართველის სათქმელს, რა მწარე სიმართლეს ამბობს პოლკოვნიკი უშანგი მგელაძე! ოპერაციის დროს, თელავში ჰიაურელის შვილმკვდარი მამა მოვიდა ჩვენთან. ჩემი შვილის მკვლელის დაკავებას არ გთხოვთ, ისე ჰქენით, სხვისი შვილები აღარ მოკლანო.

თუ გული გაქვს, უნდა აგატიროს ამ სიტყვებმა.

ეს ტრაგედია 1995 წლის 21 იანვარს დატრიალდა. საგარეჯოს მხედრიონის უფროსმა დავით ოთიაშვილმა, მეტსახელად მაჭახელამ, ორი თანარაზმელი რამაზ ჩალაზაშვილი და გელა ჰიაურელი დახოცა.

ერთ-ერთი დაჯგუფების წევრის დედა შვილის შეწყალებას ითხოვს.

სერგო ედიშერაშვილის ფოტო.

მიზეზი, როგორც მაშინ ითქვა, უბრალო იყო: ნაყაჩაღარი ფული ვერ გაიყეს...

დიდხანს ეძებდნენ „მაჭახელას", მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერ პოულობდნენ. ბოლოს და ბოლოს მიაკვლიეს: ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფმა, რომელსაც მინისტრის მოადგილე პოლკოვნიკი ემზარ საბანაძე ხელმძღვანელობდა, 4 მაისს დააკავა 22-კაციანი ჯგუფი, მათ შორის, ერთ-ერთი მაჭახელაა, დაკავებულია მურთაზ ჭუჯაიძეც — თელავის მაშველთა კორპუსის უფროსი, აგრეთვე აკაკი პაპიაშვილი, ზაალ ქარსელაძე, ვანო ბატიაშვილი, მურთაზ მსტოევი, გიორგი ხარაზიშვილი, ილო ბურნაძე, ალეკო ქევხიშვილი და სხვები. მათ შარშან, ნოემბერში, კახეთის რეგიონულ სამმართველოზე თავდასხმასა და მის დარბევაში, აგრეთვე სხვადასხვა მძიმე დანაშაულობების (მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა მოტაცება) ედებათ ბრალად.

შეიარაღებულ ჯგუფს, რომელიც წინააღმდეგობის გაწევასაც არ მოერიდა, ჩამოართვეს 30 ავტომატი, ათამდე ყუმბარმტყორცნი, საბრძოლო ჯავშნიანი ავტომანქანა, დიდძალი ტყვია-წამალი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

მათი დაპატიმრება უკვე სანქცირებული იყო რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ.

უჯარმაში, საბჭოთა არმიის ყოფილ ყაზარმებში, სულაც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებას დაედო ბინა. ბანდის მეთაური სოსო მარიდაშვილი („უბიიცა"), მართალია, გაიქცა, მაგრამ სხვები დააკავეს. თუ შოთა კანჯარაშვილი და ზაზა ჩიხმახაშვილი გიორგიწმინდელები არიან, გოჩა დავითელაშვილი — თბილისელია; ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რით ირჩენდნენ თავს?! — ალბათ, ყაჩაღობით; 3 ავტომატი, 3 კარაბინი, მცირეკალიბრიანი შაშხანა, ყუმბარმტყორცნი — ამ შემთხვევაში, კარგ სამსახურს გაუწევდა.

უნდა დაეკავებინათ თუ არა გიორგი ქარსელაძე, რომელსაც შინ ავტომატი, კარაბინი, უნომრო „მაკაროვი", „ვინჩესტერის" ლულა, რადიოსადგური „ალტაი", ჯავშანჟილეტი და აირწინაღი ჰქონდა, ეზოში კი საბრძოლო ჯავშნიანი ავტომანქანა („ბტრ"), 2 ავტოცისტერნა, ავტომანქანები „ზილი", „მაზი" და „უაზი" ედგა, ამასთან, 5 ტონა დიზელის საწვავიც მომარაგებინა?!

წინასწარი მოკვლევით დაადგინეს, რომ „მაზი" ზუგდიდიდან არის წამოყვანილი, „ბტრ"-ი?!

ვინ იტყვის, ალექსი გუსარიშვილს რას ერჩოდითო! — მან, რამდენიმე პირთან ერთად, წლეულს, 26 იანვარს, თელავში, სოფელ შალაურში თამარ ბალარჯიშვილის სახლი გაძარცვა.

კახეთის პოლიციის შენობაზე თავდასხმაში ადრე ნასამართლევი ედიკ დვალიშვილი, ჯონი ჩხიროშვილი და ფირუზ უტიაშვილიც მონაწილეობდნენ.

ეს უკანასკნელი, ივანე მესხიშვილთან ერთად, ყურუღის წყაროზე განლაგებულ კომერციულ ჯიხურებსა და კიოსკებსაც „აწერდა შესაწერს".

ნარკოტიკული ნივთიერებების ერთ-ერთ სატრანზიტო გზად კახეთიც იქცა.

ლაგოდეხის რაიონის სოფელი კაბალი... ეს სოფელი კი არა, ოპიუმის გავრცელების პლაცდარმია. გადავლენ იქვე, აზერბაიჯანში, გადმოიტანენ „წამალს". მეტი შრომა არ სჭირდებათ. ადგილზე აკითხავენ „ბრიყვი ნარკომანები", ჩვენი „ყარდაშები" კი მხოლოდ ფულს ითვლიან.

რა სასჯელი უნდა შეუფარდო ელიმარ მამედოვს, რომ სამართლიანობა აღადგინო? — შინ 100 ულუფა ოპიუმი უპოვეს. 40 ულუფა კი წინა დღეებში გაეყიდა მილიონ მანეთად.

სუმბათ ბაირამოვს 10 ულუფა ჰქონდა, გიორგი გაბრიჩიძეს — 5, მამედ მამედოვს — 2, აგრეთვე გასაყიდად გამზადებული მარიხუანა.

ოპიუმით აპირებდა გაბრუებას თბილისის ნაძალადევის რაიონის პოლიციელი აბესალომ მანჯავიძეც. ყოფილ თანამშრომელს მამუკა გვიმრაძეს „ტტ" ჩაერჭო ჯიბეში. ისიც პასუხს აგებს კანონის წინაშე.

კაკაბეთელმა ნუგზარ ბერიძემ 265 ცხვარი გაიტაცა; ხულიგნობის, იარაღის ტარებისა და პოლიციის მუშაკებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისათვის იძებნებოდა გივი მალასიძე., ყაჩაღობისთვის — ზაზა გულიაშვილი, ბინის ქურდობისთვის — ფირუზ უტიაშვილი, სხეულის განზრახ დაზიანებისთვის — ვასილ ჩხვაშვილი...

ბევრი იარაღის უკანონო ტარებისათვის დააკავეს:

დავით ალადაშვილს, მაშველთა კორპუსის სიღნაღის რაზმის უფროსს, უკანონოდ შეეძინა სამი ავტომატი და ფლობდა კიდეც.

მას არც თანარაზმელები — ალექსი ყატაშვილი და დიმიტრი შანშაშვილი ჩამორჩნენ.

ირაკლი მენთეშაშვილი „ტტ"-ს პატრონი იყო.

ბონდო ნადირაძეც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 81-ე მუხლი) დააკავეს.

ასევე, გელა ლომაური, ზაზა გუსარიშვილი. ანალოგიური დანაშაულისათვის ეძებენ საგარეჯოს რაიკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ლევან აზარაშვილს.

ყველა ამ და კიდევ ბევრი სხვა დაკავებულის მიმართ პროკურორმა უკვე გასცა დაპატიმრების სანქციები.

უნდა ითქვას, რომ მოსახლეობას დიდი სურვილი არ გამოუთქვამს იარაღის ნებაყოფლობით ჩასაბარებლად, თუმცა მთლად უამისობაც არ იყო. უპირატესად ავტომატები თავისი ნებით წარმოადგინეს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის მცხოვრებლებმა გულად შეწურაშვილმა, ბეჟან მთავრიშვილმა, რობინზონ გოგინაშვილმა.. გივი რამაზაშვილმა, ილია ბაწელაშვილმა;

4 მაისის თელავის ამბების გამოკლებით, დააკავეს 133 სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი. მათ შორის, 13 ძებნილია. გახსნეს სისხლის სამართლის 67 საქმე, ამხილეს დამნაშავეთა 7 ჯგუფი; ამოიღეს 104 ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი.

დედოფლისწყაროში ქურდული ტრადიციის მატარებელი ძმები ჯემალ და გიგა გიგაურები დააკავეს. ისინი ყაჩაღობდნენ, რეკეტირობდნენ — მეურნეობის ხელმძღვანელებს, მეწარმეებს, კომერსანტებს, დიდი რაოდენობით ფულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს სძალავდნენ.

— კახეთის ყველა რაიონი ლამის ფეხით შემოვიარეთ; ვნახეთ, დალოცვილი მიწის დიდი ნაწილი უსაწვავობის გამო, დაუმუშავებელია; ამ დროს, მეორე „ქუვეითად" წოდებულ თელავში, არავინ უწყის, ყოველდღიურად რამდენ ტონა ბენზინსა და დიზელის საწვავს ყიდიან... ჭორსა და მართალს შორის ერთი ნაბიჯია. ამ დილით (4 მაისი — ზ. მ.) ხმა დაყარეს: თელავში, წინააღმდეგობის გასაწევად, მაშველთა კორპუსი ტანკებით გამოვიდაო. ჭორი გამოდგა. ვიღაცას ხელს აძლევს, ზუსტად ასე მოხდეს. არადა, ჩვენ განა მაშველთა კორპუსს ვებრძვით?! ვებრძვით დამნაშავეობას, რომელმაც ასწლოვანი მუხასავით გაიდგა კახეთში ფეხი. ამ დროს, ჩვენთვის სულერთია, რომელ ფორმირებას, სახელმწიფოს თუ სამინისტროს ეკუთვნის ეს დამნაშავე! — მითხრა დასასრულ უშანგი მგელაძემ.

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

იგი მუდამ ჩვენთან იქნება

ერთ თვეში 75 წლისა უნდა გამხდარიყო: ისეთი წელგამართული, ლამაზი და მოხდენილი იყო, სახიკვდილო არაფერი ეტყობოდა. მეგობრები და თაყვანისმცემლები საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ვემზადებოდით, მას არაფერს ვეუბნებოდით, რადგან ვიცოდით, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით ხელს შეგვიშლიდა ჩანაფიქრის განხორციელებაში. უპრეტენზიო იყო ცხოვრებაში და ასე წავიდა ცხოვრებიდან. 60 წლისა არც იქნებოდა, როდესაც ოპერის სცენა დატოვა; ხმა არაჩვეულებრივად ახალგაზრდულად უჟღერდა; ულამაზესი, ობერტონებით მდიდარი და ხავერდოვანი ბარიტონი, მშვენიერი გარეგნობა, ხიმლერის კეთილშობილური მანერა — აი, ყოველივე ის, რითაც რაინდმა მომღერალმა სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა ქართული ვოკალური ხელოვნების ისტორიაში.

იმერეთის ერთ თვალწარმტაც კუთხეში — ხალანძილეში დაიბადა შოთა კიკნაძე, უაღრესად ლამაზ და ტრადიციულ ოჯახში, კეთილშობილებას დედის რძესთან ერთად ეზიარა და მთელი ცხოვრების მანძილზე არ უღალატია ადამიანური არსებობის ამ უმაღლესი მრწამსისათვის; პროფესიაც კეთილშობილური აირჩია — სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დასტაქრად მუშაობდა; მაგრამ ღვთისაგან ბოძებული ხმა თავისას ითხოვდა, და ბედმაც ლეგენდარულ ხანდრო ინაშვილთან მიიყვანა. მისი ხელმძღვანელობით დაეუფლა იტალიურ ბელკანტოს და ჭეშმარიტად ქართულ, ხანდრისეულ ინტონაციას. ამ ორი კომპონენტის ბედნიერმა შერწყმამ განაპირობა ის, რომ ევროპულ რეპერტუარში შოთა კიკნაძის სახით მოგვევლინა ჭეშმარიტად ევროპული ყაიდის მომღერალი, ხოლო ქართულში — ღრმად ეროვნული და კოლორიტი.

მომღერლის ფართო ვოკალურმა და აქტიორულმა დიაპაზონმა თავიდანვე განსაზღვრა, ხშირ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული ბარიტონული პარტიების დიდი წრე: ჟერმონი „ტრავიატაში", დონ ჟუანი მოცარტის „დონ ჟუანში", ფიგარო „სევილიელ დალაქში", სილვიო „ჯამბაზებში", დი ლუნა „ტრუბადურში", ონეგინი „ევგენი ონეგინში", რობერტი „იოლანტაში", ელეცკი „პიკის ქალში" და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით მომხიბლავი იყო მომღერალი ქართულ რეპერტუარში. მისი მურმანი, კიაზო, გოჩა, ჩალხია ქართული ვოკალური კულტურის ოქროს ფონდშია შესული.

დიდი წარმატებით გამოდიოდა შოთა კიკნაძე უცხოეთის საოპერო სცენებზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი გამოსვლა ზაარბრიუკენის საოპერო თეატრში, სადაც მან კიაზოს პარტია შეასრულა ფალიაშვილის „დაისში".

მოაკლდა ჩვენს ქალაქს ლამაზი, კეთილი, დახვეწილი რაინდი. ამბობენ, ადამიანი კვდება, მისი ხმა კი არა, იგი ბუნებაშია გაფანტული და განაგრძობს არსებობასო, და თუ ეს ასეა, ბატონ შოთას ულამაზესი ხმა სამუდამოდ მიესალბუნება მის სათაყვანებელ ხალხს.

თენგიზ ჩოჩუა,
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საოპერო და საბალეტო ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოების პრეზიდენტი.

მამანტი (მემედ) ქეცბაია

გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, ქალაქ გაგრის მცხოვრები, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი მამანტი (მემედ) გრიგოლის ძე ქეცბაია.

მემედ ქეცბაია დაიბადა 1931 წელს ქალაქ გალში, 1955 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა გალის რაიონში ადვოკატად, 1958-1970 წლებში ქ. ტყვარჩელის პროკურორის მოადგილედ, 1974 წლიდან, გაგრის ტრაგედიამდე, იყო გაგრის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

დევნილობის პერიოდში გარდაცვალებამდე მუშაობდა თბილისში მაუდ-კამვოლის საწარმოო გაერთიანებაში, სადაც მოკლე ხნის განმავლობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

მემედ ქეცბაია წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, მრავალჯერ იყო არჩეული სახალხო დეპუტატთა გაგრის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ბოლო წლებში წინამძღოლობდა ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" გაგრის რეგიონალურ განყოფილებას, მოქალაქეთა კავშირის გაგრის ორგანიზაციას.

მემედ ქეცბაიას განვლილი გზა, მისი საქმიანობა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, თავდადებითა და ორგანიზებულობით. სადაც კი იღვაწა, ყველგან დატოვა პრაქტიკული საქმიანობის ნათელი კვალი.

პრინციპული და შეუდრეკელი იყო იგი ყოველთვის. ასეთად წარმოჩნდა იგი გაგრის ტრაგედიის დროს, როცა საგანგებო შტაბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არ დატოვა დაცემული ქალაქი და ოჯახთან ერთად დიდხანს იმყოფებოდა სეპარატისტ ბოევიკთა მძევლად.

მემედ ქეცბაია იმ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც უხმოდ, უპრეტენზიოდ იხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ ვალს. ასეთად დარჩება მისი ხსოვნა ჩვენი საზოგადოების მეხსიერებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი; მინისტრთა საბჭო.

ვახტანგ ყუბანეიშვილი

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საქართველოს კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, „საქკავშირპროექტის" უფროსი ვახტანგ ლავრენტის ძე ყუბანეიშვილი.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ვახტანგ ყუბანეიშვილმა საქართველოს კავშირგაბმულობის სამსახურს შეალია, მან დიდი შრომითი გზა განვლო, რიგითი ინჟინრიდან წარმოების ხელმძღვანელამდე. სხვადასხვა დროს მუშაობდა კავშირგაბმულობის სამინისტროს მშენებარე ობიექტების დირექციის უფროსად, რესპუბლიკის რადიოცენტრის უფროსად, თბილისის სატელეფონო ქსელის უფროსად, მინისტრთა საბჭოს რეფერენტად, საბჭოთა კავშირის საელჩოების რეფერენტად ერაყში, ალჟირში და სხვა.

1985 წელს დაინიშნა კავშირგაბმულობის საპროექტო ინსტიტუტ „საქკავშირპროექტის" უფროსად, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ვახტანგ ყუბანეიშვილი, სადაც კი მუშაობდა, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით, წლების განმავლობაში იყო საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკის, კარგი მეგობრის და მოქალაქის ვახტანგ ყუბანეიშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების და კოლეგების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო; კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „მერანის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფირმის პრეზიდენტს ზურაბ კვანტრიშვილს ბებიის

ფაცია მუმლაძე-კვანტრიშვილის

გარდაცვალების გამო.

ყურადღება!

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი

გაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკაში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ბარათების (ვაუჩერების) დარიგებისა და მათი ხელახალი რეგისტრაციის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, 1995 წლის 15 მაისიდან 1 ივლისამდე შეწყდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა განცხადებების მიღება დროებით საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან (ერთი რაიონიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლასთან) დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.